პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 155 (9623) | პარასკევი, 3 ივლისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღეს ნომერში:

გამოვასწოროთ ჩამორჩენა თივის აღებასა და საკვების დასილოსებაში — მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).
1953 წლის უხვი მოსავლისათვის (1-ლი გვერდი).
პარტიულ თემაზე. — ვ. ჩალაძე. — პარტიის საქალაქო კომიტეტი და კომუნისტების პოლიტიკური სწავლება (მე-2 გვერდი).
გ. ზუკაკიშვილი, შ. ჭოჭუა. — პურის დამზადებამ მოუმზადებელს მოუსწრო (მე-2 გვერდი).
ნ. ჯანჯღავა. — როცა ფაქტები მეტყველებენ... (მე-2 გვერდი).
სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის (მე-2 გვერდი).
წიგნები და მკითხველები. — 1. სიმღერა მშვიდობაზე. 2. ზოგიერთი შენიშვნა გეოგრაფიის სახელმძღვანელოზე (მე-3 გვერდი).
ქალი დიდი ძალაა მშვიდობისათვის ბრძოლაში (მე-3 გვერდი).
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი იწონებენ მთავრობის გადაწყვეტილებებს (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-3 და მე-4 გვერდი).
თბილისი (მე-4 გვერდი).

## გამოვასწოროთ ჩამორჩენა თივის აღებასა და საკვების დასილოსებაში

მეხუთე ხუთწლიანი გეგმით საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ახალი გაზრდილი ამოცანებია დასახული. საკმარისია აღინიშნოს, რომ ხუთწლედის მესამე წელს მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა კოლმეურნეობებში გაიზრდება 17 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 20, ფრინველის — 83 პროცენტით. მნიშვნელოვნად გადიდდება ხორცის, ქონის, რძის, მატყლის, კვერცხისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება. ეს უზრუნველყოფს სურსათით მოსახლეობის, ხოლო ნედლეულით — მსუბუქი მრეწველობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

მტკიცე საკვები ბაზა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების გეგმის განუყრელ ნაწილად ითვლება და მის გარეშე შეუძლებელია ამ დარგში რაიმე მიღწევის მოპოვება. მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა გაცილებით მეტ საკვებს ამზადებენ, ვიდრე ომამდელ წლებში, საკვების წარმოება მაინც ჩამორჩება პირუტყვის საზოგადოებრივ სულადობის ზრდას. ამიტომ პარტიისა და მთავრობის მთელი ღონისძიება ახლა იქითკენ არის მიმართული, რათა ყოველმხრივ იქნას გაფართოებული საკვების წარმოება და ამით უზრუნველვყოთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის ახალი მძლავრი აღმავლობა.

ამჟამად თივის აღებისა და სილოსის დამზადების გადამწყვეტი პერიოდია. ამიტომ იმაზე, თუ რამდენად მეტ მაღალხარისხოვან თივასა და სილოსს დავამზადებთ, დამოკიდებულია პირუტყვის სულადობის შენარჩუნება, გადიდება, მეცხოველეობის პროდუქტიულობის ამაღლება.

მთელი რიგი რაიონების პარტიულმა, საბჭოთა, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა ორგანოებმა მასების მობილიზაციისა და ორგანიზატორული მუშაობის გაძლიერებით წარმატებანი მოიპოვეს საკვების დაგროვების საქმეში. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია გურჯაანის რაიონი, რომელმაც უკვე 139 პროცენტით შეასრულა თივის დამზადების გეგმა. ლაგოდეხის რაიონს თივის აღების დავალება შესრულებული აქვს 85 პროცენტით, სიღნაღის — 72,1, მარნეულის — 64,8, ჭიათურის — 76 პროცენტით. მაგრამ, ამასთან ერთად, საკვების დაგროვების საერთო მიმდინარეობა რესპუბლიკაში სერიოზული საშიშროების წინაშეა. მაშინ, როცა თივის აღება პურეულის მასობრივად აღების დაწყებამდე უნდა დამთავრდეს, ხოლო ეს პერიოდი ფაქტიურად უკვე დადგა, ბუნებრივი თივის თიბვის გეგმა შესრულებულია მხოლოდ 6,6 პროცენტით.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში თივის აღებას არც კი მიუღია მასობრივი ხასიათი. ეს იმ დროს, როცა თიბვის საუკეთესო ვადები გადის. ყველაზე ცუდად გამოიყურებიან ამ მხრივ გორისა და კასპის რაიონები. პირველ მათგანს გეგმა 2,8 პროცენტით აქვს შესრულებული, ხოლო მეორეს — 4,4 პროცენტით. საგარეჯოს რაიონში დავალება განაღდებულია მარტო 9,6 პროცენტით, გარეუბნის — 10,9, ქარელის — 12,2, ხაშურის — 16,7 პროცენტით.

სერიოზული ნაკლოვანებანია თივის დამზადების საქმეში ზამთრის საძოვრებზე, რაზედაც ჩვენი გაზეთი ამახვილებდა ყურადღებას თავის გუშინდელ ნომერში.

ცნობილია, რომ დასილოსება საკვების დაგროვების უდიდეს წყაროდ ითვლება. დამზადო მეტი სილოსი — ეს ნიშნავს უზრუნველყო საზოგადოებრივი პირუტყვი ყველაზე ყუათიანი საკვებით. მაგრამ როგორაა საქმე სინამდვილეში, ასე ესმით თუ არა ყველგან საკვების დასილოსების მნიშვნელობა? ფაქტები მეტყველებენ, რომ ამ მხრივაც ვერ არის საქმე კარგად. 1 ივლისისათვის რესპუბლიკას დასილოსების გეგმა შესრულებული ჰქონდა 2,8 პროცენტით. საკვების დასილოსება არ დაუწყიათ მეცხოველეობის ისეთ ძირითად რაიონებს, როგორიც არიან ბორჯომის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, წალკის რაიონები, რომელთაც ყველა საშუალება აქვთ დაამზადონ სილოსი გარეული ბალახების ხარჯზე.

რით არის გამოწვეული ჩამორჩენა?

როგორც ცნობილია, ყოველი საქმის წარმატებას სწყვეტს მისი წინასწარ მომზადება. მაგრამ ამას ყველგან როდი ითვალისწინებენ. ასე, მაგალითად, იმ დროს, როცა თივის აღება უკვე დაიწყო, წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებს აქამდე არ მოუყვანიათ წესრიგზე 106 ცალი სათიბი მანქანა, საგარეჯოს რაიონის კოლმეურნეობებს ჯერ კიდევ შესაკეთებელი აქვთ 17, ხოლო გარეუბნის რაიონის კოლმეურნეობებს — 14 ცალი მანქანა.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში გადამწყვეტი როლი მანქანა-ტრაქტორთა სადგურებს ეკუთვნით. საამისოდ მათ ყველა საჭირო პირობა გააჩნიათ, მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ სოფლის მეურნეობის მექანიზატორები ყოველთვის წინა პლანზე როდი აყენებენ საკვების წარმოების გადიდების ამოცანას. ეს თამამად შეიძლება ითქვას, მაგალითად, გარეუბნის რაიონის სამივე მანქანა-ტრაქტორთა სადგურზე, რომელთა მუშაკებსაც, ამ რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად, თანაბარი პასუხისმგებლობა ეკისრებათ თივის აღების ჩამორჩენაში. სუსტად ეხმარებიან წალკის რაიონის კოლმეურნეობებს საკვების დასილოსებაში წალკისა და ავრალის მტს-ები.

საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანა პარტიული, საბჭოთა, სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა ორგანოებისაგან, თვითეული მტს-ისა და კოლმეურნეობისაგან, მეცხოველეობის ყოველი მუშაკისაგან მოითხოვს საკვების წარმოების გაფართოებისათვის შეუნელებელ ზრუნვას. რა ამოცანა ეკისრებათ კერძოდ მათ ახლა, თივის აღების პერიოდში, როცა ძირითადად წყდება საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის მტკიცე ბაზის შექმნის საკითხი? მათი მოვალეობაა აუცილებლად შეასრულონ საკვების დაგროვების გეგმები თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მიხედვით და აქედანვე შექმნან მტკიცე ბაზა პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

ხოლო ამ ძირითადი ამოცანის გადაწყვეტისათვის აუცილებელია სასწრაფოდ მოვიყვანოთ წესრიგში თივის ასაღები ტექნიკა და უზრუნველვყოთ მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენება. თივის აღების პერიოდში გადაჭრით უნდა გავაუმჯობესოთ შრომის ორგანიზაცია, ყოველ კოლმეურნეობაში შევქმნათ საკვებმომპოვებელი ბრიგადები, მივცეთ მათ მტკიცე საწარმოო დავალებები და სისტემატური კონტროლი დავაწესოთ ამ დავალებათა შესრულებაზე.

მტს-ების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული მოთხოვნები უნდა წავუყენოთ, რათა მათ გადაჭრით გააძლიერონ საკვების დაგროვებისათვის მუშაობა, დაეხმარონ კოლმეურნეობებს სასილოსე ნაგებობათა სასწრაფოდ აგებაში, სასილოსე კულტურების რიგთაშორის დამუშავების მექანიზაციაში და სხვ.

თივის აღების სამუშაოთა პერიოდში ერთ-ერთი საბრძოლო ამოცანაა არ დავუშვათ გარღვევა თიბვასა და დაზვინვას შორის. სერიოზული ყურადღება უნდა მივაქციოთ თივის აღრიცხვას, შენახვას და მის ეკონომიურად ხარჯვას.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ მტკიცე საკვები ბაზისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ თივის აღებაზე მომუშავეთა შორის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, განვუმარტოთ მათ ის წამახალისებელი ღონისძიებანი, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ არის დაწესებული თივის დამზადების გეგმის წარმატებით განაღდებისათვის.

მტკიცე საკვები ბაზის შექმნით შემდგომ განვავითაროთ საზოგადოებრივი მეცხოველეობა, მივაღწიოთ ჩვენს რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვეს!

## ნავთობდამამძიმებელ არამადნეულ წიაღისეულთა ზრესტმა ექვსი თვის გეგმა შეასრულა

გუმბრინის, ასკანიტისა და ნავთობდამამძიმებელ სხვა არამადნეულ წიაღისეულთა მაღაროების კოლექტივებმა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად ვადაზე 10 დღით ადრე — 20 ივნისისთვის შეასრულეს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმები.

წელს განვლილ პერიოდში 1952 წლის პირველ ნახევართან შედარებით საქართველოს ნავთობბარიტის მაღარომ საერთო პროდუქციის გამოშვება გაადიდა 131 პროცენტით, გაუხვებული ბარიტის მოპოვება გადიდებულია 50 პროცენტით ხოლო დაფქვა — 6,9-ჯერ. გუმბრინის მაღაროს კოლექტივმა წელს 20 ივნისისათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა 238.000 მანეთის პროდუქცია, ხოლო მახარაძის მაღაროს კოლექტივმა — 71.000 მანეთისა.

# ჩვენს დიად სამშობლოში

### მუშები იცავენ სადიპლომო პროექტებს

რიგა. რიგის ინდუსტრიული პოლიტექნიკუმის საღამოს განყოფილებაში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლობს ასობით მუშა. ახლა პოლიტექნიკუმში დაიწყო სადიპლომო პროექტების დაცვა.

რიგის თოკ-შპაგატის ფაბრიკის ზეინკალმა ბლუმსმა წარჩინებით დაიცვა სადიპლომო პროექტი, და სახელმწიფო კომისიამ მიანიჭა მას ლითონის ცივად დამუშავების ტექნიკოს-ტექნოლოგის კვალიფიკაცია.

ომისშემდგომ წლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ინდუსტრიული ტექნიკუმი დაამთავრა რიგის ხუთასზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ.

გომელი. დამთავრდა გამოსაშვები გამოცდები გომელის რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკუმის დაუსწრებელ განყოფილებაში. ტექნიკოსის დიპლომი მიიღო წარმოების 35 მუშაკმა. ფრიადი და კარგი შეფასებით დაამთავრა სწავლა მეისრე ა. ბოკუნოვმა. იგი სადგურ გომელის მორიგე გახდა.

საგამოცდო სესიები დამთავრდა აგრეთვე სამდინარო და საზღვაო ტრანსპორტის საკავშირო დაუსწრებელი ტექნიკუმის გომელის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტში. აქ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მეცადინეობს სამოცზე მეტი წყალტრანსპორტელი.

საშუალო და უმაღლეს განათლებას წარმოებისაგან მოუწყვეტლივ იღებს ოლქის ექვსი ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე და კოლმეურნე.

(საკდესი).

### პირველი ტურბინის შექმნა

ლენინგრადი. (საკდესი). სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი მუშაობს კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურის პირველი ტურბინის შექმნაზე. უკვე გაკეთებულია ორმოცამდე მოდელი ტურბინის დეტალების ჩამოსასხმელად. მჭედლებმა გამოჭედეს ასობით ნაჭედი.

გრაფიკის დიდი გასწრებით ასრულებენ საპატიო დავალებას მჩნეველთა, ზეინკალთა, ამწყობთა და შემდუღებელთა ბრიგადები, რომლებსაც მ. ი. სემიონოვიჩი, ვ. ა. მატვეევი და სხვები მეთაურობენ. მშენებლობისათვის გასაგზავნად უკვე მომზადებულია შემწოვი მილებისა და შახტის მოსაპირკეთებელი მრავალტონიანი კონსტრუქციები, რომლებიც სხვა ჩასატანებელ ნაწილებთან ერთად დაიდგმება ჰიდროელექტროსადგურის შენობის წყალქვეშა ნაწილში.



ლენინგრადი. სტალინის სახელობის ქარხნის მეტურბინეებმა წელს ხუთ თვეში ერთიორად მეტი ორთქლტურბინი დაამზადეს, ვიდრე შარშან ამავე პერიოდში. სურათზე: ორთქლტურბინის საამქროში. წინა პლანზე — ამწყობი ზეინკლები კომკავშირელები ი. ვ. კორიაშკინი და ბრიგადირი ე. ვ. ტროიცკი (მარჯვნივ) ახალი ორთქლტურბინის აწყობაზე.

ფოტო ა. მიხაილოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

### ტექნიკური პროგრესის გზით

ხარკოვი, 29 ივნისი. (საკდესი). ხარკოვის ორჯონიკიძის სახელობის სატრაქტორო ქარხნის კოლექტივმა დღეს ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საერთო პროდუქციის გამოშვება გადიდებულია 15,8 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 17,9 პროცენტით. გაუმჯობესებულია ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები. ქარხანამ ხუთნახევარი მილიონი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია მიიღო.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ი. ა. სერიკოვმა განაცხადა:

— პროდუქციის გამოშვების განუწყვეტელი ზრდა და მისი თვითღირებულების შემცირება ტექნიკური პროგრესის შედეგია. მუშები, ოსტატები, ინჟინრები და ტექნიკოსები აუმჯობესებენ ტექნოლოგიას, ახდენენ შრომატევადი პროცესების მექანიზაციას. საამქროებში ამუშავებულია ახალი ნაკადური ხაზები. მწყობრში ჩადგა დიდი წარმადობის ავტომატური ჩარხები. კონვეიერზე გადაყვანილია აწყობის ყველა ოპერაცია.

სამსხმელო საამქროებში ძველი საყალიბო მანქანები შეცვლილია ახლებით. ამან საშუალება მოგვცა მოგვეწყო ნამზადების ნაკადური წარმოება, გაგვედიდებინა მათი გამოშვება. მთლიანად მექანიზებულია სხმულის შემოჭრა და სხვა შრომატევადი პროცესები.

მექანიკურ საამქროებში ფართოდ გავრცელდა დეტალების ჩქაროსნული დამუშავება. ლითონის ჭრის პროგრესულ მეთოდებს დაეუფლა ასობით ხარატი, მღარავი და მრანდავი. მათგან საუკეთესოებმა — ამხ. სოკოლოვმა, დიკანმა, ლუპანდინმა, ვორონცოვმა და სხვებმა მეხუთე ხუთწლედის დაწყებიდან ექვს-ექვსი წლიური ნორმა შეასრულეს. ბევრი მუშა ერთდროულად რამდენიმე ჩარხს ემსახურება.

განამტკიცებენ რა მიღწეულ წარმატებებს, ხარკოველი ტრაქტორმშენებლები აჩაღებენ შეჯიბრებას წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

### დაიწყო მარცვლეულის ჩაბარება

კრასნოდარი, 1 ივლისი. (საკდესი). ყუბანის მინდვრებში ფართოვდება საშემოდგომო ქერის მკა. მკას შეუდგნენ მხარის არა მარტო სამხრეთი, არამედ აგრეთვე ცენტრალური რაიონების კოლმეურნეობები.

ბელორეჩენსკაიას რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობამ მოკლე ვადაში მომკო საშემოდგომო ქერის ნათესის ნახევარი.

სევერსკაიას, მარიანსკაიას, უსტ-ლაბინსკაიას და სხვა რაიონების კოლმეურნეობებმა დაიწყეს ქერის ჩაბარება სახელმწიფოსათვის.

დამზადების პუნქტებზე მოზიდულია პირველი ათასი ცენტნერი მარცვალი.

### ვ. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავისათვის

მაგადანი, 1 ივლისი. (საკდესი). კოლიმის დასახლებულ პუნქტებში გაჩაღდა მზადება ვ. ვ. მაიაკოვსკის დაბადების 60 წლისთავისათვის. საწარმოებსა და დაწესებულებებში ეწყობა ლიტერატურული საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, მოხსენებები.

სრედნეკანსკის რაიონის დაბა ნექსიკანში გაიმართა ლიტერატურული საღამო, რომელზეც წაკითხულ იქნა მოხსენება პოეტის ცხოვრებისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა წაიკითხეს ვ. მაიაკოვსკის ნაწარმოებნი, მოეწყო გამოფენა.

### მუზეუმის ახალი ექსპონატები

აღმოსავლეთის კულტურის სახელმწიფო მუზეუმი შეივსო ახალი ექსპონატებით, რომლებიც ახასიათებენ ინდოეთის, ირანის, იაპონიის, ინდოჩინეთის ხელოვნებას. მუზეუმმა ჩინეთიდან მიიღო მთელი რიგი ძვირფასი მხატვრული ნაკეთობანი. მათ შორის არის ამოქარგული პანო, მინანქრის, ლაქის, სპილოს ძვლის ნაკეთობანი.

30 ივნისს მუზეუმში გაიხსნა ახალი განყოფილება „კორეის ხელოვნება". განყოფილების ექსპონატთა შორის არის ძველი სკულპტურა (VIII საუკუნე), რომელიც გამოკვეთილია რუხი ბაზალტისაგან, კერამიკის ნიმუშები, ფაიფურის ჭურჭელი. საინტერესოა სურათები, რომლებიც დახატულია აბრეშუმზე XIX საუკუნის მხატვრის კი სენის მიერ. ამ სურათებზე გამოსახულია ყოფაცხოვრების სცენები: მასწავლებელი ამეცადინებს ბავშვებს, ცეკვა და სხვ.

მნიშვნელოვან ინტერესს წარმოადგენს თანამედროვე მხატვრების ნე ჩანის, უ. ტუნის, უნ პონისა და სხვების ფერწერის გრაგნილები. ეს არის პეიზაჟები და ფრინველებისა და ყვავილების ტრადიციული სიმბოლური გამოსახულებანი. ყურადღებას იქცევენ კორეის ყველაზე ლამაზი ადგილების კორეის აღმოსავლეთ სანაპიროს (ალმასის მთების) პეიზაჟები.

ერთ-ერთ სტენდზეა სკულპტურული ჯგუფი „ახალი კორეა". აქ გამოსახულია კორეელი დედა, რომელიც მზრუნველობით უკეთებს ყელზე პიონერულ ჰალსტუხს თავის ვაჟს. მთელი რიგი პლაკატები მიძღვნილია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის კორეელი ხალხის გმირული ბრძოლისადმი. (საკდესი).

### ფართოვდება ბაღები ტრამალში

ბუზულუკი, (ჩკალოვის ოლქი). (საკდესი). ბუზულუკის რაიონში ი. ვ. მიჩურინის ბევრი მიმდევარია. სამი წლის განმავლობაში მიჩურინელმა კოლმეურნეებმა გააორკეცეს ბაღ-კენკრის კულტურების ფართობები და ვადამდე შეასრულეს კოლმეურნეობებში ბაღების გაშენების ვალდებულება. ახლა ბაღები ყველა სასოფლო-სამეურნეო არტელს აქვს. გაზაფხულზე გაშენდა კიდევ 30 ჰექტარი ბაღი და საკენკრე.

ტრამალის ბაღები კარგად ისხამს. შარშან XII პარტყრილობის სახელობის კოლმეურნეობამ ბუზულუკის ბაზრებზე გაყიდა ასობით ფუთი მოცხარი, ხურტკმელი და ვაშლი.

ბაღის შესაქმნელად მუშაობა დაიწყო აგრეთვე ოლქის სხვა რაიონების ყოველ კოლმეურნეობაში. ჩკალოვის რაიონში, რომელიც ბუზულუკის რაიონს ეჯიბრება, ეს ამოცანა აგრეთვე შესრულებულია.

ახლა კოლმეურნეობებში დაიწყო მარწყვის კრეფა.

# 1953 წლის უხვი მოსავლისათვის!

### აღებულია 40.282 ჰექტარი პურეული

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ცნობებით, 1 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში აღებული იყო 40.282 ჰექტარი თავთავიანი კულტურების მოსავალი. თეთრი წყაროს რაიონში მომკილია 1.068 ჰექტარი, გურჯაანის — 1.553, კაჭრეთის — 798, სიღნაღის — 11.179, წითელწყაროს — 11.132, თელავის — 265, ახმეტის — 144, ყვარლის — 1.766, ლაგოდეხის — 4.428, თბილისის გარეუბნის — 2.061, გარდაბნის — 1.546, მარნეულის — 2.198, ბოლნისის რაიონში კი — 885 ჰექტარი და სხვ.

აქედან კომბაინებით აღებულია სულ 35.922 ჰექტარი. გასულ წელს ამავე რიცხვისათვის თავთავიანი კულტურების მოსავალი აღებული იყო საქართველოში მხოლოდ 5.670 ჰექტარზე.

### თამბაქოს შეტეხა

დღითიდღე ძლიერდება თამბაქოს შეტეხის ტემპი. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ცნობებით, 1 ივლისისათვის მთელ რესპუბლიკაში შეტეხილი იყო სულ 650.166 ზონარმეტრი თამბაქო, აქედან ლაგოდეხის რაიონში — 131.437, მარნეულის — 348.541, აფხაზეთში — 137.400, აჭარაში — 32.788 ზონარმეტრი თამბაქო.

### მოსავალს უდანაკარგოდ ავიღებთ

კაჭრეთი. დღითიდღე ფართოვდება პურეულის აღების ფრონტი, — განაცხადა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში საქართველოს კ. პ. კაჭრეთის რაიკომის მდივანმა ამხ. ზ. გელდიაშვილმა — უკვე მომკილია რვაას ჰექტარამდე. 39 კომბაინი ჩაება მკის სამუშაოებში. სოფელ ყანდაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ბადიაურის მტს-ის კომბაინერმა ა. ათაბეგაშვილმა, „სტალინეც-6" მარკის კომბაინით მოსავალი აიღო 130 ჰექტარზე. იგი იბრძვის იმისათვის, რომ 600 ჰექტარზე მომკას პურეული.

მოსავლის აღება გაჩაღდა სოფელ კაკაბეთის შვერნიკის სახელობის, სოფელ მახარაძის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებში. კომბაინერმა მ. ალუდიშვილმა ორ დღეში „სტალინეც-6" მარკის კომბაინით 40 ჰექტარი მომკა, ხოლო ს. არუთინაშვილმა ოთხ დღეში — 60 ჰექტარი.

პურეულის კარგი მოსავალია ჩალაუბნის კრუპსკაიას სახელობის კოლმეურნეობაში. აქ ასალები აქვთ ხუთას ჰექტარზე მეტი და თვითეულ ჰექტარზე მოელიან ოც ცენტნერ ხორბალს. ამ დღეებში მოსავლის აღებას შეუდგება კაჭრეთის მტს-ის კომბაინერი ნ. ფრიდონაშვილი, რომელმაც ვალდებულება იკისრა მომკას 550 ჰექტარი.

მოსავლის ორგანიზებულად აღებაში დაწინაურდა შიბლიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა, რომელმაც კარგად მოაწყო კალოები, პურის გადაზიდვა, გაწმენდა, ნამჯის გატანა ფართობებიდან. დაწყებულია გაწმენდილი ნაკვეთების ხვნა. მოხნულია ათი ჰექტარი. სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ მიდიან შ ჩოკოშვილის და ა. გელუკაშვილის მემინდვრეობის ბრიგადები.

მაგრამ მოსავლის აღების პირველ დღეებში გამოვლინდა ნაკლოვანებანიც. მაგალითად, სოფელ მახარაძის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში არ იზრუნეს თავთავების აკრეფაზე, დიდი იყო დანაკარგები, მომკილი ფართობიდან არ გაჰქონდათ ნამჯა, ცუდად იყო მოწყობილი კალოები, ქერი მინდვრად დატოვეს და დას ველდა. პარტიის რაიკომმა საჭირო ზომები მიიღო ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. კაკაბეთის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობაში არ იცავდნენ მკის წესებს — მაღლა ჭრიდნენ პურეულს. ამანაც გამოიწვია თავთავების დანაკარგები. ახლა ეს მდგომარეობაც გამოსწორებულია.

ბრიგადებში, კომბაინების აგრეგატებთან გამოდის საველე გაზეთები, აგიტატორები მინდვრად აწყობენ საუბრებს. მაგრამ საგიტაციო-მასობრივი მუშაობა ჯერ კიდევ არ არის აყვანილი ჯეროვან სიმაღლეზე. ამ მხრივ მეტი მუშაობა მართებთ მტს-ების დირექტორების მოადგილეებს პოლიტიკურ ნაწილში, პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას.

პარტიის რაიკომი და რაისაბჭოს აღმასკომი განახორციელებენ ყველა ღონისძიებას მოსავლის მოკლე ვადებში ასაღებად და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულების დროზე შესასრულებლად.

### მკის პირველ დღეებში

თბილისის გარეუბნის რაიონში

თელეთის მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში მოწინავე მექანიზატორები აქედანვე ენერგიულად იბრძვიან იმისათვის, რომ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით შეასრულონ.

პირველი შედეგებით შეჯიბრებაში დაწინაურდა კომბაინერი არჩილ მახნიაშვილი. მან ოთხ დღეში „კომუნარის" მარკის კომბაინით სოფელ თელეთის კოლმეურნეობაში მოსავალი 72 ჰექტარზე აიღო. მას არ ჩამორჩებიან კომბაინერები გ. კოლესნიკოვი და ა. მანთარიევი, რომლებმაც ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას უკვე მოუმკეს 120 ჰექტარი.

უკვე გამოვლინდა ნაკლოვანებანიც. ახალგაზრდა კომბაინერმა მ. ვართანოვმა „სტალინეც-6" მარკის კომბაინით ოთხ დღეში მომკა 80 ჰექტარი. მაგრამ არადამაკმაყოფილებელია აღების ხარისხი, რაც დიდ დანაკარგებს იწვევს. პურეულს მაღლა ჭრის და გალეწილ ნამჯაში დიდი რაოდენობით რჩება გაულეწავი თავთავი. ამ ფაქტს გულდამშვიდებით შესცქერიან მტს-ის მუშაკები. ცუდად არის მოწყობილი აგრეთვე მინდვრიდან ნამჯის გატანა და დაზვინვა.

# პურის დამზადებამ მოუმზადებელს მოუსწრო

ზაგოტზერნოს ნავთლუღის სარეალიზაციო ბაზას მეტად პასუხსაგები ამოცანა აკისრია: იგი მოწოდებულია უზრუნველყოს ახალი მოსავლის მარცვლეულის შეუფერხებლად მიღება ძირითადად თბილისის გარეუბნისა და გარდაბნის, აგრეთვე ნაწილობრივ თეთრი წყაროს, თიანეთის, საგარეჯოს, დუშეთის რაიონების კოლმეურნეობებიდან.

ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე პატრიოტული მოვალეობის შესრულება სარეალიზაციო ბაზის დირექციისა (დირექტორი ა. პერონიძე) და პარტორგანიზაციისაგან (მდივანი პ. შუტკინი) მოითხოვდა ყოველმხრივ მოემზადებინათ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ახალი მოსავლის მარცვლეულის მისაღებად. მაგრამ ასე როდი მოხდა: იმ დროს, როცა მარცვლეულით დატვირთული მანქანები ბაზის სულ უფრო და უფრო ხშირი სტუმრები გახდნენ, აქ ახლა გააჩაღეს სამშენებლო, სარემონტო და ორგანიზაციული ხასიათის სამუშაოები.

ბაზის ხელმძღვანელები ყველა საწყობს მომზადებულად თვლიან. ნამდვილად ასე როდია. 30 ივნისს მეორე საწყობში ერთდროულად წარმოებდა პურის მიღება და საწყობის შიდა კედლების კირის ხსნარით შეთეთრება.

დამთავრებული არ არის საელევატორო მეურნეობის ტრანსპორტიორების რემონტი. მოუწყობელია მე-7 საწყობთან მისასვლელი გზა. აქამდე ვერ მოუხერხებიათ საავტომობილო სასწორის შეკეთება და მიღებისას მარცვლეულს პატარა სასწორებით წონიან. შესაღებავია მარცვლეულის გადასაზიდავი ვაგონები.

ნავთლუღის სარეალიზაციო ბაზის ტერიტორია შემოუღობავია. ეს კი, როგორც წარსული წლების გამოცდილებიდან ვიცით, ბევრ გარეშე პირს აძლევს საშუალებას თავისუფლად შევიდეს იქ, სადაც სრულიად არაფერი ესაქმება.

ყველაფერი რიგზე არ არის ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების მხრივაც. კერძოდ, ბაზის ტერიტორიაზე შეჭრილია წისქვილკომბინატის ხის საცხოვრებელი სახლი, რომლის აღებაც მრავალგზის მითითების მიუხედავად, რატომღაც ჭიანურდება.

თუ ბაზის ხელმძღვანელებს დავუჯერებთ, მათ საკმაო რაოდენობით აქვთ ისეთი აუცილებლად საჭირო საგნები, როგორიც არის ტომრები, ბრეზენტები და სხვ. მაგრამ მეექვსე საწყობში (გამგე შ. ველიაშვილი) 30 ივნისს მარცვლეულის მიღების დროს დაბლა (მიწაზე) ბრეზენტს არ ფენდნენ, რის გამო დანაკარგები იყო. დანაკარგების წინააღმდეგ მარცვლეულის ჩამბარებელი ზოგიერთი კოლმეურნეობაც სუსტად იბრძვის. მაგალითად, იმავე დღეს თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ გლდანის კოლმეურნეობიდან ბაზაში მოიტანეს 5 ტონა მარცვლეული, რომელიც დახეულ ტომრებში ეყარა და გადმოტვირთვის დროს იბნეოდა.

პირველი განალეწი მაღალხარისხოვანი მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარება კოლმეურნეობათა პირველი მცნებაა. ცალკეულ შემთხვევაში ზოგიერთი კოლმეურნეობა ამას ივიწყებს. არის სახელმწიფოსათვის ცუდი ხარისხის ხორბლის ჩაბარების ცდები. უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში ბაზაში ჩასაბარებლად მოიტანეს 10 ტონაზე მეტი ხორბალი გარდაბნის რაიონის შვერნიკის სახელობის, გარეუბნის რაიონის გლდანის ბერიას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა. ეს ხორბალი დიდი ტენიანობის გამო ბაზის მუშაკებმა სამართლიანად დაიწუნეს.

ბაზაში სუსტად არის დაყენებული საგიტაციო-მასობრივი მუშაობა. ვერც ბაზის შესასვლელ ჭიშკარში და ვერც სხვაგან ვერ ნახავთ ლოზუნგებს, პლაკატებს. მხოლოდ ფორმალურად არსებობს წითელი კუთხე.

ყოველივე ზემოაღნიშნული იმაზე მიგვითითებს, რომ ნავთლუღის სარეალიზაციო ბაზას და მის ხელმძღვანელებს პურის დამზადებამ მოუმზადებელს მოუსწრო. უფრო მეტიც. მათ აშკარა თვალისახვევის ფაქტებს მიმართეს, რაც იმით გამოიხატა, რომ ბაზის ხელმძღვანელებმა, ჯერ კიდევ 10 ივნისს აცნობეს ზაგოტზერნოს რესპუბლიკურ კანტორას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მზად არისო. ხოლო თუ როგორ არის ფაქტიურად საქმე, — ამაში მკითხველი ზემოთ მოყვანილი ფაქტებით დარწმუნდება.

**გ. ზუკაკიშვილი,**
**შ. ჭოჭუა.**



**თბილისი.** პლასტმასის ქარხნის კონვეიერთან. **სურათზე:** ბრიგადირი დესპინე ტატრაშვილი (მარჯვნივ) ამოწმებს აწყობილი პლასტმასის ნაკეთობათა ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ამბები საწარმოებიდან

### ქარხნის 50 წლისთავი

წელს, აგვისტოში, ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტრომექანიკურ ქარხანას 50 წლისთავი უსრულდება. ქარხნის კოლექტივი თავდადებით მუშაობს იმისათვის, რომ ეს თარიღი აღნიშნოს არა მარტო კარგი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებით, არამედ აგრეთვე საქარხნო ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოთა მაღალხარისხოვანი შესრულებით და საწარმოო კულტურის ამაღლებით.

ქარხნის მნიშვნელოვანი თარიღისათვის მზადებაში, რაც რკინიგზელის საკავშირო დღისათვის მზადებასთან ერთად მიმდინარეობს, განსაკუთრებით დაწინაურდნენ ლითონკონსტრუქციის, საზეინკლო-ამწყობ და სახარატო საამქროთა კოლექტივები.

**ი. მჭედლიშვილი.**

### აზერბაიჯანელ მებამბეებთან შეჯიბრებაში

ამას წინათ გორის ბამბეულის კომბინატისა და აზერბაიჯანის სსრ საბირაბადის მებამბეობის რაიონის კოლმეურნეებს შორის დაიწყო სოციალისტური შეჯიბრება ურთიერთდახმარების საშუალებით სახელმწიფო გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. გორელმა ფეიქრებმა იკისრეს გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს მაღალხარისხოვანი ბამბეულის ქსოვილი და წლიური საწარმოო გეგმა შეასრულონ ვადამდე, ხოლო საბირაბადელმა მებამბეებმა იკისრეს უდანაკარგოდ აიღონ ბამბის მოსავალი, გადაჭარბებით შეასრულონ ბამბის ჩაბარების გეგმა და გორელი ფეიქრები უზრუნველყონ საუკეთესო ხარისხის ნედლეულით.

ამ შეჯიბრებაში გორის ბამბეულის კომბინატში მრავალი ფეიქარი დაწინაურდა. მათ შორის არიან მქსოველები ქ. ხარაზიშვილი, ე. ასკალაშვილი, მ. კაპანაძე, რ. შოთაშვილი. წარმატებით მუშაობს სართავი ფაბრიკის კოლექტივი. განსაკუთრებით კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს გ. ჩიხლაძის და ნ. საპრიკინას კომპლექტებმა.

**ი. თევდორაშვილი.**

# სანიმუშოდ მოვამზადოთ სკოლები ახალი სასწავლო წლისათვის

### თბილისის საქალაქო საბჭოს სესიაზე

გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა 1952-1953 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლისათვის ქალაქის სკოლების მომზადების მიმდინარეობა.

მომხსენებელმა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგემ თ. მათიაშვილმა აღნიშნა სკოლების სერიოზული წარმატებანი გასულ სასწავლო წელს. მნიშვნელოვნად შემცირდა კლასებში მეორე წელს დატოვებულ და საშემოდგომო გამოცდების მქონე მოსწავლეთა რიცხვი, წინა სასწავლო წელთან შედარებით გაიზარდა სწავლის ფრიადოსანთა რიცხვი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გასული სასწავლო წლის შედეგები არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ბევრ სკოლაში დაბალია აკადემიური მოსწრება, მოსწავლეთა ერთ ნაწილს არა აქვს მტკიცედ შეგნებული დისციპლინა, სკამთად არ ხორციელდება საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონი. სასკოლო ასაკის სამი ათასზე მეტი ბავშვი სკოლის გარეშეა დატოვებული.

ახლა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა კარგი მომზადება ახალი სასწავლო წლისათვის. ამ მიმართულებით ხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებანი. ბევრ სკოლაში მშობელთა კომიტეტებთან ერთად შედგენილია ზაფხულის არდადეგების პერიოდში ბავშვებთან მუშაობის გეგმები. ამ გეგმებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ მოსწავლეებს, რომლებსაც შემოდგომაზე განმეორებითი გამოცდები აქვთ.

მოსწავლეთა საზაფხულო დასვენების მოსაწყობად დიდი მუშაობა უნდა გასწიონ სკოლისგარეშე დაწესებულებებმა. საჭიროა მივაღწიოთ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის სრულ განხორციელებას.

მნიშვნელოვანი სახსრები — ხუთნახევარ მილიონ მანეთზე მეტი — იხარჯება სასკოლო შენობების კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებაზე. მაგრამ რაიონული საბჭოების აღმასკომების სარემონტო კანტორები აყოვნებენ სკოლების შეკეთებას. მაგალითად, სტალინის რაიონის სარემონტო კანტორა 16 სკოლის შენობიდან ჯერჯერობით არემონტებს მხოლოდ ხუთს. ტრესტი „თბილისმშენი" შეუწყნარებლად აჭიანურებს ორი ახალი სკოლის მშენებლობას. ჩამორჩება სასკოლო ინვენტარის შეკეთება, ახალი მერხების, საკლასო დაფების, მაგიდებისა და კარადების დამზადება.

თანამომხსენებელი — თბილისის საქალაქო საბჭოს სახალხო განათლების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე ვ. თოფურია შეეხო სკოლისგარეშე მუშაობის საკითხებს. ხშირია, როცა მოსწავლეები არღვევენ დისციპლინას სკოლაში და საზოგადოებრივ ადგილებში, რაც იმის შედეგია, რომ არ არის ჯეროვანი ზრუნვა ბავშვთა დასვენების მოწყობისათვის. საჭიროა გავაფართოოთ ფიზკულტურული მოედნების ქსელი სკოლებში, შევქმნათ ისინი დიდ საცხოვრებელ სახლებთან, ხშირად მოვაწყოთ მოსწავლეთა ექსკურსიები და სხვ.

დეპუტატმა ვ. პეტრიაშვილმა გააკრიტიკა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სარემონტო კანტორების გეგმიან მომარაგებას საჭირო სამშენი მასალებით, არ მოითხოვს ტრესტ „თბილისმშენისაგან", რომ დროზე დაიწყოს ახალი სკოლების მშენებლობა.

დეპუტატი თ. დარახველიძე შეეხო ქალაქის სკოლებში პოლიტექნიკური განათლების განხორციელებისათვის პირობების მომზადების საკითხს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა გადაისინჯოს ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგიისა და სხვა დისციპლინების სასწავლო პროგრამები, შეივსოს ახალი მოწყობილობითა და საჭირო აპარატურით ლაბორატორიები, კაბინეტები და სახელოსნოები.

მოსწავლეთა პოლიტექნიკურ სწავლებაში საბავშვო რკინიგზისა და მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის დიდ მნიშვნელობაზე ილაპარაკა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს სასკოლო განყოფილების უფროსმა ი. პაპავამ.

დეპუტატმა შ. ბერიანიძემ თქვა, რომ სკოლისგარეშე მუშაობაში დიდი როლი უნდა შეასრულონ პიონერთა სახლებმა, რომლებიც გახსნილია ქალაქის ყველა რაიონში. მაგრამ ამ სახლებს ჯერ კიდევ არ გაუჩაღებიათ მუშაობა, რადგან კომკავშირული ორგანიზაციები და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო საჭირო დახმარებას არ უწევენ მათ და სკოლისგარეშე სხვა დაწესებულებებს.

პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ნ. ჭახრაკიამ მკაცრად გააკრიტიკა რაიონის სკოლების მუშაობა. ბევრი მოსწავლე ჩამორჩება სწავლაში. სკოლებში ბევრია მეორეწლიანები. ამის ერთ-ერთი მიზეზია ის, რომ სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან საკმაო რაოდენობის კვალიფიციური პედაგოგებით.

დეპუტატმა ს. მიშინამ თქვა, რომ საჭიროა გაძლიერდეს სკოლის კავშირი ოჯახთან, მშობლები უნდა ჩავაბათ სკოლისგარეშე მუშაობაში.

დეპუტატი ვ. მერკვილაძე შეეხო პედაგოგთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაძლიერების, მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანებს.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის შესრულება დაეხმარება სკოლებს სანიმუშოდ მოემზადონ ახალი სასწავლო წლისათვის.

სესიამ განიხილა აგრეთვე საორგანიზაციო საკითხები. სესიამ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გაათავისუფლა გ. დ. ბეჟანიშვილი. საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ბ. ი. კიზირია სხვა სამუშაოზე მისი გადაყვანის გამო. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ დამტკიცებულია დეპუტატი თ. ქ. ქუთათელაძე.

(საქინფ).

# როცა ფაქტები მეტყველებენ...

### წერილი გარდაბნის რაიონიდან

— ამ ვრცელ მინდვრებს, — გვიამბო გარდაბნის მტს-ის დირექტორმა გ. დევდარიანმა, — კარგა ხანია ასეთი მოსავალი არ მოუცია. შარშანდელთან შედარებით მეტწილ კოლმეურნეობებში ჩვენი კომბაინერები საშუალოდ ჰექტარზე 5-7 ცენტნერით მეტ ხორბალს ლეწავენ. უკანასკნელ დღეებში ყანები მოსამკალად მასობრივად შემოვიდა.

სამი კომბაინი მუშაობს სოფელ ულიანოვკის მალენკოვის სახელობის მეთესლეობის კოლმეურნეობის ნაკვეთებში, სადაც მოსამკალია შვიდას ჰექტარზე მეტი. კომბაინერი ივანე ბაევი სიხარულით ლაპარაკობს, რომ წელს 360 ჰექტარზე აიღებს მოსავალს. ცალკეული ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე იგი 18-20 ცენტნერ ხორბალს ლეწავს. მ. მანძულაშვილის მემინდვრეობის ბრიგადის წევრები თავდადებით შრომობენ პურეულის უდანაკარგოდ აღებისა და დაბინავებისათვის.

სამ კომბაინ „სტალინეც-6"-ს დააკისრეს გარდაბნის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ათასი ჰექტარი პურეულის აღება. ცენტრალური საწყობის ეზოში პურის ხვავი არ ეტევა. მეხუთე ბრიგადიდან განუწყვეტლივ მოდის კომბაინერ ა. ნასიბოვის აგრეგატით გალეწილი ხორბალი. კომბაინერს შეუფერხებელ მუშაობაში კარგად ეხმარებიან ტრაქტორისტი ვ. მუსაევი და მეშტურვალე ალადინ გოიჯა. კომბაინერ ნასიბოვს ეჯიბრებიან მოწინავე კომბაინერები ი. ბაევი და ა. მუსაევი. ა. ნასიბოვი მეექვსე სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელიც არის. იგი აქედანვე ზრუნავს მომავალი წლის მოსავლისათვის. გაწმენდილ ფართობზე უკვე შეუდგა ხვნას.

კომუნისტ ბ. ეიუბოვის ბრიგადამ მომკილი 70 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღო ოცი ცენტნერი ხორბალი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17,5 ცენტნერისა. კარგ მოსავალს იღებს მეორე ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი გ. იუსუბოვი ხელმძღვანელობს. მკის პირველ დღეებში თავი გამოიჩინეს მზიდავებმა კომკავშირელმა ს. მამედოვამ, ზ. ბაბაევამ, რომლებსაც დღეში ორმოცი ტონა ხორბალი გადმოაქვთ საწყობამდე. მათ არ ჩამორჩებიან ს. ალიევა, მ. სულეიმანოვი, მანქანის მძღოლი გ. ხაჩატუროვი. ხორბლის გაწმენდაზე მომუშავე ს. ბაგიროვი დღეში წმენდს ერთ ტონას, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 400 კილოგრამისა.

მაგრამ ცუდია ის, რომ ამ კოლმეურნეობას 350 ტონამდე ხორბალი აქვს დაგროვილი და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება 30 ივნისსაც არ ჰქონდა დაწყებული.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებში მოსავალს არაორგანიზებულად იღებენ, არ იცავენ აწონისა და აღრიცხვის წესებს.

სოფელ ნაზარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობისა და მტს-ის მწონავები მ. სადიკოვი და ნ. ნაბიევი მიღებული ხორბლის წონას ნაფლეთ ქაღალდზე აღნიშნავენ, ბევრგან ციფრები გადასწორებულია. ამასთან ბუნკერიდან გადმოცლილ ხორბალს მაშინვე არ წონიან. 30 ივნისს დილით მიღებული ორ ტონამდე ხორბალი შუადღესაც არ იყო აწონილი. მსგავს ფაქტებს შევხვდით სოფელ ჯანდარის კოლმეურნეობა „ილიჩში". მეორე ბრიგადაში დაგროვილი იყო დიდძალი აუწონავი ხორბალი, მანქანის მოლოდინში ხორბალს ურმებითაც არ ეზიდებოდნენ. სადაც თვითმავალი კომბაინი მუშაობდა, იქ დიდი იყო დანაკარგები, ხოლო თავთავების ამკრეფნი არ ჩანდნენ.

კოლმეურნეობას ორას ტონაზე მეტი ხორბალი აქვს დაგროვილი. გაწმენდაზე არ უფიქრიათ და სახელმწიფოსათვის არც ერთი კილოგრამი პური არ ჩაუბარებიათ.

ყველაფერი ეს ხდება პარტიის რაიკომის მიერ ამ კოლმეურნეობის დასახმარებლად გაგზავნილის—სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ი. ბაბაევის თვალწინ. მას არ აღელვებს აღნიშნული ნაკლოვანებანი. ბაბაევმა გულდამშვიდებით განაცხადა: მოვასწრებთ, ახლა გავშლით მუშაობასო (!).

აქედან საჭირო დასკვნები უნდა გააკეთონ პარტიის გარდაბნის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა.

**ნ. ჯანჯღავა,**
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

პარტიულ თემაზე

# პარტიის საქალაქო კომიტეტი და კომუნისტების პოლიტიკური სწავლება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იდეოლოგიური მუშაობის საკითხებს, კერძოდ პარტიულ ორგანიზაციებს ამოცანად დაუსახა გადაჭრით გააუმჯობესონ კომუნისტთა პოლიტიკური სწავლება. ცნობილია, რომ პარტიის წევრებისა და წევრობის კანდიდატების პოლიტიკური დონის ამაღლება წარმოადგენს ცხოვრების ყველა დარგში მათი მოწინავე როლის გაძლიერების, კომუნისტთა შემდგომი აქტივიზაციისა და პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

კომუნისტური პარტია მოითხოვს, რომ ჩვენი კადრები, უკლებლივ ყველანი ბეჯითად მუშაობდნენ თავიანთი თეორიული დონის ასამაღლებლად, ეუფლებოდნენ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას, რათა არ ჩამორჩნენ ცხოვრებას და ყოველთვის იდგნენ პარტიის ამოცანების დონეზე. ამისათვის საჭიროა, რომ პარტიული ორგანიზაციები მუდმივად ეწეოდნენ მუშაობას პარტიის წევრებთან და წევრობის კანდიდატებთან მათი იდეური დონის ასამაღლებლად, ასწავლიდნენ მათ მარქსიზმ-ლენინიზმს, აყალიბებდნენ მათგან პოლიტიკურად მომზადებულ, შეგნებულ კადრებს.

რუსთავის პარტიული ორგანიზაციები, ისე როგორც ყველა საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, უაღრესად პასუხსაგები ამოცანის წინაშე დგანან. ამჟამად ჯამდება და ფასდება სასწავლო წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შედეგები, ანალიზი უკეთდება გამოვლინებულ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, ისახება ღონისძიებანი მომავალში პარტიული პროპაგანდის უკეთ დაყენებისათვის.

პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტმა სასწავლო წლის დაწყებისთანავე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ პარტიული განათლების ყველა რგოლში მეცადინეობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე წარმართულიყო. საქალაქო კომიტეტი სისტემატურად განიხილავდა პარტიული სწავლების აქტუალურ საკითხებს. მაგალითად, საქალაქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხის დამმუშავებელი კომბინატის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის პროპაგანდისტის ს. მეტრეველის მოხსენება. აღინიშნა, რომ პროპაგანდისტი ს. მეტრეველი კარგად იყენებს ცოცხალი საუბრის მეთოდს, რითაც წრის მსმენელთა მაღალ აქტივობას აღწევს. ამასთან ერთად ს. მეტრეველს მიუთითეს ზოგიერთ ნაკლზეც. პროპაგანდისტის მოწინავე გამოცდილების განზოგადების მიზნით საქალაქო კომიტეტის ბიუროს ეს გადაწყვეტილება ყველა პროპაგანდისტს გავაცანით.

ამას წინათ საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ბეტონის ცენტრალური კომბინატის პარტბიუროს მდივნის ნ. სოფრომაძის ანგარიში პარტიულ ორგანიზაციაში იდეოლოგიური მუშაობის დაყენების შესახებ. გამოირკვა, რომ ზოგიერთ წრეში პარტიის XIX ყრილობის მასალების შესწავლის საქმეში ადგილი ჰქონდა ფორმალიზმს. წრის წევრები უზრუნველყოფილი არ იყვნენ საჭირო ლიტერატურით. წრეში, სადაც პროპაგანდისტია ვ. ნიკოლაიშვილი, ცოცხალი საუბრის მეთოდი ხშირად იცვლებოდა კითხვა-პასუხის სკოლარული მეთოდით. განხილული საკითხის გამო ბიურომ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რომლის განხორციელების შედეგად პარტიული სწავლების ხარისხი საგრძნობლად გაუმჯობესდა.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ცალკე მოისმინა საკითხი ქალაქის სკოლების მასწავლებელთა შორის პოლიტიკური განათლების მდგომარეობის შესახებ. პედაგოგები ნ. კანდელაკი, ა. ლუტიძე, ა. დარჩია, ე. მჭედლიშვილი და სხვები არ ზრუნავდნენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. ამ საკითხის განხილვამ შესაფერისი შედეგი გამოიღო. შემაჯამებელი მეცადინეობის დროს წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე პედაგოგთა უმეტესობამ საფუძვლიანი ცოდნა გამოამჟღავნა.

პარტიული პროპაგანდის იდეური დონე უწინარეს ყოვლისა დიდად არის დამოკიდებული პროპაგანდისტთა შემადგენლობაზე, მათს თეორიულ და მეთოდურ მომზადებაზე. პროპაგანდისტი ცენტრალური ფიგურაა პარტიული განათლების ქსელში. მას დიდად პასუხსაგები და კეთილშობილური მოვალეობა აკისრია. იგი მოწოდებულია დაეხმაროს კომუნისტებს მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლებაში. ამიტომ პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი მთავარ ყურადღებას აქცევს პროპაგანდისტთა კადრების სწორად შერჩევასა და აღზრდას. მიმდინარე სასწავლო წელს საქალაქო კომიტეტთან მუშაობდა პროპაგანდისტთა 5 მუდმივმოქმედი სემინარი. ამას გარდა ერთი სემინარი შექმნილი იყო კონსულტანტებისათვის. სემინარებზე იკითხებოდა მაღალკვალიფიციური ლექციები, აგრეთვე ეწყობოდა მეთოდური ხასიათის თათბირები, ვახდენდით მოწინავე პროპაგანდისტთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებას და სხვ.

საქალაქო კომიტეტმა კვალიფიციურ პროპაგანდისტთა კადრები აღზარდა. ისინი სისტემატურად იმდიდრებენ თეორიულ ცოდნას. პროპაგანდისტები გ. დონდუა, ი. კაკაბაძე, ი. გუკასოვი, ს. ფულარია, ლ. ზიმინა, გ. მინდლინი და სხვები გულდასმით ადგენენ ყოველი ახალი მასალის კონსპექტს და საუბრის გეგმებს, მეცადინეობას წარმართავენ ცოცხალი საუბრის მეთოდით, გადასაცემ მასალას მჭიდროდ უკავშირებენ იმ ამოცანებს, რომლებიც საწარმოს წინაშე დგას. ყოველივე ეს საშუალებას აძლევს წრის მსმენელებს ღრმად ჩასწვდნენ მასალის არსს.

შემაჯამებელი მეცადინეობები ცხადყოფენ, რომ პოლიტსკოლებსა და წრეებში გაერთიანებული კომუნისტების საგრძნობმა ნაწილმა კარგად შეითვისა გავლილი მასალა. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შემსწავლელ წრეში (პროპაგანდისტი ი. კაკაბაძე), რომელშიც მედიცინის მუშაკები არიან გაერთიანებული, შემაჯამებელი მეცადინეობა ცოცხლად და საინტერესოდ წარიმართა. მარქსიზმ-ლენინიზმის ღრმა ცოდნა გამოიჩინეს წრის მსმენელებმა — ექიმებმა ნ. ასათიანმა, ქ. გელანტიამ, ა. ხარებოვამ, გ. ოდიშარიამ, ვ. გოგოძემ და სხვებმა. ასევე მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო შემაჯამებელი მეცადინეობა ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის ხისდამმუშავებელი კომბინატის პარტორგანიზაციასთან არსებულ წრეში (პროპაგანდისტი ს. მეტრეველი). წრის მსმენელთა პასუხები მოფიქრებული და შინაარსიანი იყო. ბევრმა მათგანმა თეორიული საკითხები მოხდენილად დაუკავშირა კომბინატის წინაშე მდგომ პრაქტიკულ ამოცანებს.

შემაჯამებელი მეცადინეობა ქალაქის ბევრ პარტიულ ორგანიზაციაში ძირითადად ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე მოეწყო, რასაც წინ უძღოდა წინასწარი სამზადისი. პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი პარტიული განათლების ქსელში მიმდინარე სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების შესახებ. ამავე საკითხზე მოეწყო პროპაგანდისტების, კონსულტანტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი, აგრეთვე საქალაქო პარტიული აქტივის კრება.

შემაჯამებელმა მეცადინეობამ ხელი შეუწყო პარტიული სწავლების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლინებას. გამოირკვა, რომ ზოგიერთი პოლიტსკოლისა და წრის დაკომპლექტებაში დაშვებული იყო შეცდომები, რამაც უარყოფითად იმოქმედა სწავლების ხარისხზე. მაგალითად, მეორე საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის შემაჯამებელ მეცადინეობაზე მსმენელთა ერთმა ნაწილმა აშკარა უცოდინარობა გამოიჩინა დასმული კითხვების განმარტებაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ წრეში უმაღლესი განათლების მქონე მსმენელებთან ერთად გაერთიანებული იყვნენ დაბალი განათლების ამხანაგებიც. მთელ რიგ პოლიტსკოლებსა და წრეებში მსმენელთა ერთი ნაწილის პასიურობა იმითაც იყო გამოწვეული, რომ ყველა პროპაგანდისტი არ იჩენდა მსმენელებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, ზოგან ჩამორჩენილ მსმენელებთან ცალკე არ აწყობდნენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ გასაუბრებას.

სერიოზული ნაკლოვანებები იყო აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული პროპაგანდისტთა მუდმივმოქმედი სემინარების მუშაობაში. ხშირი იყო შემთხვევა, როცა სემინარზე იხილავდნენ ისეთ თემას, რომელიც პოლიტსკოლებსა და წრეებში პროგრამის მიხედვით უკვე გავლილი იყო. ეს იმითაც აიხსნება, რომ ხშირად ადგილი ჰქონდა სემინარის მეცადინეობის გადადებას, ამასთან სემინარის ყველა მეცადინეობა არ ეწყობოდა მაღალხარისხოვნად, განსაკუთრებით ცუდი იყო დასწრება.

პოლიტიკური განათლების მაღალი დონე ეხმარება ჩვენს კადრებს წარმატებით გადაწყვიტონ საწარმოს წინაშე მდგომი ამოცანები, სწრაფად გამოასწორონ მუშაობის ნაკლოვანებანი, კიდევ უფრო აამაღლონ რევოლუციური სიფხიზლე. პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარში ბეჯითად მეცადინეობდნენ ტრანსპეცმშენის უფროსი ე კრიმსკი და საბინაო მშენებლობის უფროსი ა. ზამთარაძე. მათ კიდევ უფრო გააუმჯობესეს იმ საწარმოთა მუშაობა, რომლებსაც ისინი ხელმძღვანელობენ.

სამწუხაროდ, ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი ნაკლებად ზრუნავს თავისი პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის. ასეთ მუშაკთა რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, „ტრანსვოდსტროის" უფროსი გ. ცქიფურიშვილი. წელს პარტიული და საბჭოთა აქტივის სემინარის მეცადინეობას იგი მხოლოდ სამჯერ დაესწრო. თეორიაში ჩამორჩენილი მუშაკი საწარმოსაც ცუდად ხელმძღვანელობს. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ „ტრანსვოდსტროიმ" დიდი დანაკლისით შეასრულა მიმდინარე წლის ექვსი თვის გეგმა. პოლიტიკური თვითგანათლებისადმი აშკარა უდარდელობას იჩენდა აგრეთვე ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი ო. ძამაშვილი. იგი ყალბ ცნობებს ადგენდა მის ხელმძღვანელობაში მყოფი საამქროს საქმიანობის შესახებ, სრულებით ყურადღებას არ აქცევდა პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობას. ყოველივე ამის გამო საქალაქო კომიტეტის ბიურომ ამ დღეებში ო. ძამაშვილი მოხსნა პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნობიდან.

პარტიული განათლების სისტემაში ახალი სასწავლო წლისათვის ყოველმხრივ მომზადების ინტერესები მოითხოვს აქედანვე შევქმნათ საჭირო პირობები შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, პროპაგანდისტული მუშაობის იდეური დონის ასამაღლებლად. აქედანვე უნდა მომზადდეს ნიადაგი პარტიული განათლების ყველა რგოლის სწორად და მოფიქრებულად დაკომპლექტებისათვის, პროპაგანდისტთა კადრების გულმოდგინედ შერჩევისათვის.

საქალაქო კომიტეტი ზომებს იღებს იმისათვის, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის პროპაგანდისტთა სემინარები თავის დროზე შეიქმნას და შეუდგნენ მეცადინეობას. ეს ხელს შეუწყობს პარტიული განათლების ქსელის წარმატებას, მეცადინეობის ნორმალურად და მაღალ იდეურ დონეზე წარმართვას.

ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ლექციური პროპაგანდის გაძლიერებას ზაფხულის პერიოდში. ყველა ამ ღონისძიების განხორციელება იმის საუკეთესო პირობა იქნება, რომ პროპაგანდისტული მუშაობა ახალი ამოცანების დონეზე იქნას აყვანილი.

**ვ. ჩალაძე,**
საქართველოს კომუნისტური პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანი.

# წიგნები და მკითხველები

## 1. სიმღერა მშვიდობაზე

ჩვენი ნორჩი მკითხველები ინტერესით წაიკითხავენ გ. ხუხაშვილისა და თ. ჭილაძის პოემას „მშვიდობის სიმღერა“. მისი თემაა მშვიდობა, — ის, რაც აღელვებს თანამედროვე კაცობრიობის უდიდეს და უკეთეს ნაწილს.

ბუნებრივია, მარტო აქტუალური თემის შერჩევა ვერ უზრუნველყოფს პოემის წარმატებას. მოწონებას იმსახურებს პოემის მხატვრული მხარე. მისი საერთო ჟღერა და ლაღი, გამართული ქართული ენა.

პოემის მთელ რიგ კარგად შესრულებულ სურათებს ხან საქართველოს მშვიდობიანი დედაქალაქის ამწვანებულ ქუჩებში გადავყავართ, ხან მშობლიურ მოსკოვში, ხან გულცივ ნიუ-იორკში, ხან ჩინეთში, ხან კიდევ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში...

კარგად არის გადმოცემული პოემის გმირის, ახალგაზრდა მუსიკოსის ნოდარის განცდები. მას სიხარული ბუნებრივი და დამაჯერებელია. მას იწვევენ ბერლინში, რომ ჩვენი ბავშვების სახელით იქ მშვიდობას იცავდეს. დასამახსოვრებელია სვეტლანას მიერ რადიოთი დიდი ხმის გაგონების მომენტი, მოხდენილია ნოდარის სიზმარი — მისი ნიუ-იორკში გადაყვანა და იქ ნახულ საშინელებათა შემდგომ მშობლიურ თბილისში გამოღვიძება. ამ განცდის გადმოსაცემად შესაფერისი ლირიკული საზომის გამონახვა ავტორების ტაქტსა და კარგ პოეტურ გემოვნებას მოწმობს.

პოემაში გადმოცემულია ერთა ძმობის იდეა, რომლის გამომხატველადაც პატარა ნოდარი გვევლინება. თავისუფლების ძეგლის წინ ნოდარისა და ზანგი ბიჭის საუბარი იდეური თვალსაზრისით პოემის ერთ-ერთ საუკეთესო ადგილად შეიძლება ჩაითვალოს.

პოემის ავტორებს უნდა ვუსაყვედუროთ ზოგიერთი შეცდომის გამო. მაგალითად, ნიუ-იორკზე ნათქვამია:

„აქ, ამ ქალაქში ყოველი
ადამიანის მტერია“.

ნიუ-იორკში არიან ადამიანის მტრები—ომის გამჩაღებლები, მაგრამ მათ გარდა არსებობენ კეთილი ნების ადამიანები, მშვიდობისათვის მებრძოლნი. ისე რომ ყველა და ყოველი იქ ადამიანის მტრად ვერ ჩაითვლება.

პოემაში მრავლად არის ბავშვებისათვის მძიმე გამოთქმები, მაგალითად: „ბანდები ამერიკელთა“, „ბორგავს იანკი“, „იქ კი ბატონობს დოლარი“ და სხვ.

ზანგი ბიჭის მთელი მოთხრობა სიმართლეა, მაგრამ ნაკლებად დამაჯერებელია, რომ ამას ლაპარაკობს არა ენამზევრი და ბევრის მნახველი ადამიანი, არამედ 13-14 წლის ბიჭი. მაგალითად, ის ამბობს: „ო, ის დღე ჩემთვის ყოფილა მწარე ცხოვრების დამდეგი“, „ძალიან რომ ვქვეუსლიყავი ადამიანი, ვნატრობდი“, „ქროდა ბოროტი ოცნება იმის ამღვრეულ თვალებში“.

პოემაში არის სხვა ნაკლოვანებებიც. მას არა აქვს გამოკვეთილი სიუჟეტი. ნაწარმოები კომპოზიციურად მტკიცედ შეკრული არ არის. ვხვდებით ზოგიერთ შეუსაბამო გამოთქმებსაც.

საჭიროა, ახალგაზრდა ავტორებმა უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ მხატვრული ოსტატობის საკითხებს.

**ა. ჭკადუა.**

## 2. ზოგიერთი შენიშვნა გეოგრაფიის სახელმძღვანელოზე

სკოლებში გეოგრაფიის სწავლების გაუმჯობესებისათვის აუცილებელია გვქონდეს მაღალხარისხოვანი სახელმძღვანელოები. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი მუშაობა გვმართებს. მაგალითად, 1952 წელს გამოცემული მეოთხე კლასის სახელმძღვანელოში—„გეოგრაფია“, რომლის ავტორია დ. დონდუა, დაშვებულია ზოგიერთი სერიოზული შეცდომა.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორი სახელმძღვანელოს შედგენას სიყვარულით მოჰკიდებია. წიგნში მოცემული მდიდარი მასალა კარგად არის დამუშავებული და თანმიმდევრულად დალაგებული — მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის გზით. სახელმძღვანელოს ერთ-ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს გემოვნებით შესრულებული ნახატები და ის, რომ ხშირად დასასწავლ მასალას თან ახლავს საკითხავი მასალა, რომელიც აღრმავებს მოსწავლის ცოდნას, მიმზიდველს ხდის საგანს.

წიგნში ბავშვებისათვის მისაწვდომი ენით, გასაგებად და მარტივად არის მოცემული მთელი რიგი საკითხები. სახელმძღვანელოში ვრცლად არის დახასიათებული საქართველოს ბუნება, მეურნეობა, სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. კარგია საკითხავი მასალები: „თრიალეთი და კავკასიონი“ (გვ. 62), „მცხეთისაკენ“ (გვ. 67) და სხვ. ეს მასალები დიდ დახმარებას უწევს მოსწავლეებს გაკვეთილების მომზადებაში.

მიუხედავად ამისა, სახელმძღვანელოს სჭირდება ზოგიერთი შესწორება, რაც უთუოდ გაზრდის სახელმძღვანელოს ღირსებას.

წიგნში არასწორად არის განმარტებული პოლიტიკური რუკა.

„...არსებობს აგრეთვე ისეთი რუკაც, რომელიც თავისი პირობითი ნიშნებით ქვეყნის მართვა-გამგეობას, პოლიტიკურ მდგომარეობას გვაცნობს — მას პოლიტიკური რუკა ჰქვია“ (გვ. 59). განა შეიძლება პოლიტიკურმა რუკამ თავისი პირობითი ნიშნებით ქვეყნის მართვა-გამგეობა ან მისი პოლიტიკური მდგომარეობა გაგვაცნოს? ცხადია, არა.

ეხება რა უმთავრეს ტბებს, ავტორი მიუთითებს ბაიკალის, ლადოგის და ონეგის ტბებზე, ხოლო არაფერს ამბობს კასპიისა და არალის ტბებზე, რომლებსაც თავიანთი სიდიდის გამო ზღვები ეწოდათ (გვ. 151).

მსოფლიოს პოლიტიკური რუკის განხილვისას ავტორი სიერცით და მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოს დიდი სახელმწიფოებიდან საბჭოთა კავშირთან ერთად ასახელებს მხოლოდ ინგლისს და ამერიკის შეერთებულ შტატებს და არაფერს ამბობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაზე, რომელიც ფართობით და მოსახლეობით გაცილებით დიდია ამერიკის შეერთებულ შტატებზე (გვ. 161).

სახელმძღვანელოში არის ზოგიერთი სხვა შეცდომაც. გვხვდება აგრეთვე გაუმართავი წინადადებანი, რომელთა გამოსწორება აუცილებელია.

**ვ. გოგიბერიძე,**
თბილისის ვაჟთა 32-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

## ხელოვნების ქრონიკა

### უკრაინელი საბჭოთა მუსიკის კონცერტები თბილისში

[illegible]

## კარლ მარქსის ორდენი



[illegible]

## ჩინელი ხალხი აღნიშნავს ჩინეთის კომუნისტური პარტიის 32-ე წლისთავს

პეკინი, 1 ივლისი. (საკდესი). [illegible]

## თელავის თეატრის ახალი დადგმა

თელავი. („კომუნისტის“ კორ.). [illegible] სხვები. თეატრის ახალმა დადგმამ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

## რაიონული ცენტრის კეთილმოწყობა

ბოგდანოვკა, 2 ივლისი. (საქდესი). წლითიწლობით სულ უფრო კეთილმოწყობილი ხდება სოფელი ბოგდანოვკა. ახლა აქ მიმდინარეობს სახლების კაპიტალური რემონტი. ტროტუარების გაყოლებით გაჰყავთ წყალსადენი თხრილები, აშენებენ ახალ გაზონებს. მარტო წელს აქ დაირგო 4.700 ძირი ფიჭვი და ალვის ხე.

## ფართო მოხმარების საგნების ფასების შემცირება უნგრეთში

ბუდაპეშტი, 1 ივლისი. (საკდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის შინაგანი ვაჭრობის სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა ცნობა ფართო მოხმარების ზოგიერთი საქონლის ფასების მნიშვნელოვანი შემცირების შესახებ. კერძოდ შემცირებულია მზა ტანსაცმლის, ქსოვილების, ფეხსაცმლის, თეთრეულის, ტყავის ნაწარმის ფასები.

ახალი ფასები ძალაში შედის 1 ივლისიდან.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელნი იწონებენ მთავრობის ღონისძიებებს

ბერლინი, 1 ივლისი. (საკდესი). [illegible] ველად მზადყოფნის დემონსტრაციას. კრებების მონაწილენი — მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, მოსამსახურეები — მკვეთრად აკრიტიკებენ მათს საწარმოებში დაშვებულ შეცდო- [illegible] ედნის რაიონში (ბერლინი) მიტინგზე [illegible] სამუშაოთა მუშებმა. რეზოლუცია გამოხატავს მათს ნდობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი.

## „მშვიდობისა და გერმანელი ხალხის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულმა საზიზღარმა პროვოკაციამ მრისხანებით აღავსო ჩვენი გული“

ბუქარესტი, 1 ივლისი. (საკდესი). რუმინეთის მშრომელები კვლავ სამარცხვინო ბოძზე აკრავენ უცხოეთის დაქირავებულ აგენტებს, რომლებმაც 17 ივნისს ბერლინში საზიზღარი ფაშისტური პროვოკაცია მოაწყეს, და სოლიდარობას უცხადებენ გერმანელი ხალხის დემოკრატიულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან ერთიანი გერმანიისათვის, მშვიდობისათვის.

ბუქარესტის „ინდუსტრია ბუმბაკულუი ა“ საფეიქრო ფაბრიკის კოლექტივის კრებაზე ინჟინერმა სილვიუ დანმა განაცხადა:

„მშვიდობისა და გერმანელი ხალხის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართულმა საზიზღარმა პროვოკაციამ მრისხანებით აღავსო ჩვენი გული. ასეთი პროვოკაციის წინაშე ჩვენ უნდა გავაძლიეროთ ჩვენი სიფხიზლე და გავამრავლოთ ჩვენი ღონისძიებანი, რათა ხელი შევუშალოთ მშვიდობის მტრების ყოველგვარ ხრიკებს“.

ბერლინში 17 ივნისს მომხდარმა ფაშისტურმა პროვოკაციამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია ქალაქ ბაია-მარეს გ. გეორგიუ-დეჟის სახელობის საწარმოს მუშებში. ჩვენთვის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებისათვის, თქვა მიტინგზე წარმოების მოწინავე მუშამ პაულ ერნეიმ, სულ ერთი როდია, გერმანია დემოკრატიული სახელმწიფოა თუ იგი კვლავ ფაშისტურ სახელმწიფოდ გადაიქცევა. ჩვენ მწარე გამოცდილებით გავიგეთ, თუ რას ნიშნავს გერმანიის მილიტარიზმი და ფაშიზმი. ამიტომ სულით და გულით ვუჭერთ მხარს გერმანელი ხალხის ბრძოლას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის. რაც შეგვეხება ჩვენ, არ დავზოგავთ ძალღონეს შრომაში, გავაძლიერებთ სიფხიზლეს, რათა გავანადგუროთ ხალხთა მშვიდობისა და თავისუფლების მტრების ყოველი ცდა, განვამტკიცოთ პარტიის, ჩვენი ძვირფასი სამშობლოს მთავრობისა და ხალხის ერთიანობა.

## ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი

მონტევიდეო, 1 ივლისი. (საკდესი). ამას წინათ გაიმართა ჩილის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული პლენუმი. პლენუმმა აღნიშნა ჩილელი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მიღწეული წარმატებანი — ერთიანი პროფკავშირული ცენტრის შექმნა, დემოკრატიული ძალების მრავალი ერთობლივი გამოსვლის მოწყობა და სხვ.

პლენუმმა აღნიშნა, რომ გაძლიერდა ჩილელი ხალხის მასების გალატაკება და „ეკონომიური კატასტროფის საშიშროება, რომლის პირველი ნიშანია ჩილის სპილენძის ფასების სწრაფი დაცემა ამერიკის ბაზარზე“, სადაც მისი მეტი ნაწილი იგზავნება, აგრეთვე სიძნელეთა გადიდება ჩილის გვარჯილის გაყიდვის დროს. პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება, გაძლიერდეს ბრძოლა მშრომელთა ძირითადი მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, ეროვნული პრობლემების რადიკალური გადაჭრისათვის, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებთან დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის დამყარებისათვის. პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე დემოკრატიულ თავისუფლებათა დაცვის საკითხი.

პლენუმმა აღნიშნა ჩილის პოლიტიკურ ცხოვრებაზე კომუნისტური პარტიის გავლენის გაძლიერება, პარტიის წევრთა იდეოლოგიური მომზადების ზრდა, პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესება. ამავე დროს პლენუმმა აღნიშნა, რომ საჭიროა პარტიის შემდგომი განმტკიცება და ზრდა, მასებთან მისი კავშირის გაძლიერება.

# ქალი დიდი ძალაა მშვიდობისათვის ბრძოლაში

### საუბარი ქალთა მსოფლიო კონგრესის მონაწილესთან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატ ე. ა. ფურცევასთან

— 5-10 ივნისს, — თქვა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ამხ. ე. ა. ფურცევამ, — დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში მუშაობდა ქალთა მსოფლიო კონგრესი, რომელიც ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობის ცხოვრებაში, ახალი სერიოზული წვლილი იყო მშვიდობისათვის ხალხთა ბრძოლის საქმეში.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მიმართვას მთელი მსოფლიოს ქალებისადმი — მონაწილეობა მიეღოთ კონგრესის მუშაობაში, —ფართოდ გამოეხმაურნენ ყველა ქვეყნის ქალთა სხვადასხვა ფენები და ქალთა ორგანიზაციები. ფედერაციის მოწოდებას უპასუხეს 70-ზე მეტი ქვეყნის ქალთა ორგანიზაციებმა და სურვილი გამოთქვეს მონაწილეობა მიეღოთ კონგრესის მუშაობაში. ბევრ ქვეყანაში წინასწარ განხორციელდა დიდი მუშაობა: იქმნებოდა მოსამზადებელი კომიტეტები, ეწყობოდა თათბირები, აგროვებდნენ სახსრებს მსოფლიო კონგრესის მოსაწყობად.

მაგალითად, დანიაში მარტო კონგრესის დელეგატებისა და სტუმრების საარჩევნო კრებებზე მონაწილეობა მიიღო 40 ათასზე მეტმა ქალმა. იტალიაში ქალთა მსოფლიო კონგრესის ჩატარებას წინ უძღოდა ეროვნული კონგრესის მოწყობა, რომლის მომზადებაშიც მონაწილეობა მიიღო მილიონობით იტალიელმა ქალმა. მთელ რიგ ქვეყნებში მოსამზადებელი მუშაობა მიმდინარეობდა უძნელეს პირობებში, მოითხოვდა ქალებისაგან მამაცობას, ხოლო ხშირად გმირობასაც.

კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ 82 ქვეყნის წარმომადგენლებს, მაგრამ მთელი რიგი დელეგაციები ვერ ჩამოვიდნენ კოპენჰაგენში იმის გამო, რომ მათ წასვლის ნება არ დართეს. ესენი იყვნენ ტრიესტის, სირიის, პანამის, პერუს, საუდის არაბეთის, კამერუნის, ოქროს ნაპირის, კენიის, ნიგერიის, ჩრდილოეთ როდეზიისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები. კონგრესის მუშაობაში მონაწილეობა ვერ მიიღეს კორეის, ვიეტნამისა და მალაიის გმირმა ქალებმა, რადგან დანიის მთავრობამ უარი უთხრა მათ დანიაში შემოსასვლელ ვიზებზე.

მთელ სიცოცხლეში ემახსოვრებათ დელეგატებს ის წუთები, როცა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გენერალური მდივნის მარიკლოდ ვაიან კუტიურიეს წინადადებით ტრიბუნაზე აიტანეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და მალაიის დროშები. კონგრესის მონაწილენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ ამ ქვეყნების დელეგატთა სიტყვებს, რომლებიც ჩაწერილი იყო აფსკზე. ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ეს დელეგაციები ჩაითვალონ კონგრესზე დამსწრედ.

კონგრესი ფართო წარმომადგენლობითი კრება იყო. მასში მონაწილეობდა 70 ქვეყნის 1.895 დელეგატი. პირველად იყვნენ წარმოდგენილი 19 ქვეყნის ქალები, აქედან 14 ქვეყანა არ შედიოდა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში.

ქალთა მსოფლიო კონგრესში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მშვიდობის მსოფლიო საბჭოს, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მთელი კონგრესის მანძილზე ჩვენ ვგრძნობდით დელეგატების განუყრელ კავშირსა და ერთიანობას დედამიწის მილიონობით ქალთან, რომელთა ინტერესებსა და ნებას ისინი გამოხატავდნენ თავიანთ სიტყვებში. ამის მკაფიო დადასტურებაა კონგრესის სახელზე მიღებული ასობით დეპეშა და მისალმება.

კონგრესის მუშაობა მიმდინარეობდა მშვიდობისათვის ბრძოლის ნიშნით. მოხსენებებში, დელეგატთა სიტყვებში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ ქალები უნდა იბრძოდნენ ყველა ქვეყნისა და ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, იმისათვის, რომ თვითეულ ხალხს უფლება ჰქონდეს განაგოს თავისი ბედი.

კონგრესმა მოისმინა და განიხილა სამი საკითხი: „ქალთა ამოცანები ქალების, როგორც დედების, მშრომელებისა და მოქალაქეების უფლებათა მოპოვებისა და დაცვისათვის ბრძოლაში“, „მშვიდობისა და ქალთა და ბავშვთა ინტერესების დაცვისათვის ქალთა მოქმედების შედეგები და პერსპექტივები“, „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ხელმძღვანელობის არჩევნები“.

მომხსენებელმა პირველ საკითხზე ქ-ნმა ანდრეა ანდრეენმა (შვეცია) ილაპარაკა იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ სხვადასხვა ქვეყნის ქალები, როგორ იბრძვიან ცხოვრების სამართლიანი და უფრო ადამიანური პირობებისათვის. ქალები კაცობრიობის ნახევარს შეადგენენ. მილიონობით ქალი მუშაობს მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, განათლების, კულტურის, ხელოვნების დარგში. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით გაერთიანებული ერების ორგანიზაცია იძულებული იყო თავის ქარტიაში ეღიარებინა ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, ეს პრინციპი სრულიად არა დამაკმაყოფილებლად ხორციელდება.

მთელ რიგ ქვეყნებში ქალები არავითარი უფლებით არ სარგებლობენ. ირღვევა თანაბარი შრომისათვის მამაკაცის თანაბრად ანაზღაურების პრინციპი ან სრულიად უგულებელყოფენ ქალთა შრომის უფლებას. ქ-ნმა ანდრეა ანდრეენმა მოიყვანა კაპიტალისტურ ქვეყნებში ქალთა საშინელი არათანასწორუფლებიანობის ფაქტები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალები შრომის მეტწილ დარგებში მამაკაცებზე 30-40 პროცენტით ნაკლებს იღებენ. ინგლისში ქალთა ხელფასი იმის მხოლოდ 53 პროცენტს უდრის, რასაც მამაკაცები იღებენ. აუტანელია ქალთა მდგომარეობა კოლონიურ ქვეყნებში და სამეურვეო ტერიტორიებზე.

ინდოეთში, ირანში, თურქეთში, ალჟირში, ტუნისში, მაროკოში ქალთა 80-90 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია. არსებობს აგრეთვე ქალთა სამოქალაქო უფლებების შეზღუდვა. 15 ქვეყანაში ქალებს არა აქვთ უფლება აირჩიონ და არჩეულ იქნან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში.

საბჭოთა კავშირში და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ქალები სრული თანასწორუფლებიანობით სარგებლობენ და თვალსაჩინო როლს ასრულებენ ცხოვრების ყველა დარგში.

ქ-ნ ანდრეა ანდრეენის მოხსენებამ გაცხოველებული კამათი გამოიწვია. კონგრესის ტრიბუნაზე ერთიმეორეს ცვლიდნენ დელეგაციების წარმომადგენლები და ლაპარაკობდნენ ქალებისა და ბავშვების მძიმე მდგომარეობაზე კაპიტალის ქვეყნებში.

მქუხარე ტაშით, მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ დელეგაციები სსრ კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან წარმოგზავნილ ქალებს. ამ ქვეყნების დელეგატები ლაპარაკობდნენ ქალთა საამურ, ბედნიერ ცხოვრებაზე თავიანთ ქვეყნებში, მილიონობით ადამიანის სამშვიდობო და შემოქმედებითს შრომაზე, ბედნიერ და მშვიდ ბავშვობაზე.

მოხსენებაში მეორე საკითხზე ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის თავმჯდომარემ ქ-ნმა ეჟენი კოტონმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დგას მთელი მსოფლიოს ქალთა წინაშე. ეს არის ყველა ხალხთან ერთად ბრძოლა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ბავშვთა დაცვა ახალი ომის საფრთხისაგან, ბრძოლა მათი ცხოვრების გაუმჯობესებისა და მათი აღზრდისათვის. ქალები უდიდეს ძალას წარმოადგენენ ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლაში. მთელ მსოფლიოში ქალთა დემოკრატიული მოძრაობის ფართო გაქანება იმით აიხსნება, რომ ქალები სულ უფრო გარკვევით ხედავენ, რომ საჭიროა ხალხთა ბრძოლაში აქტიური მონაწილეობით გზა გადაუღობონ ომს. უნდა შევინარჩუნოთ ოჯახების სიცოცხლე, დავიცვათ ჩვენი ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობა. გმირულად იბრძვიან თავიანთი უფლებებისათვის იტალიის, საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის, ლათინური ამერიკის ქვეყნების, ჰოლანდიის, იაპონიისა და ბევრი სხვა ქვეყნის ქალები. იზრდება და ფართოვდება ქალთა მოძრაობა კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, სადაც ისინი თავიანთი ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობას იცავენ.

ეჟენი კოტონმა მოუწოდა დამსწრეთ გააერთიანონ ქალთა მოქმედება მშვიდობის დასაცავად, შექმნან ყველა ქვეყანაში ბავშვთა დაცვის ეროვნული კომიტეტები.

კონგრესზე ყველა დელეგატის სიტყვებში გამოხატული იყო რწმენა ქალთა დემოკრატიული ორგანიზაციების მზარდი ძალებისადმი, ქალთა საერთაშორისო მოძრაობის ძალისა და ძლიერებისადმი. დელეგატები აღნიშნავდნენ, რომ მიუხედავად უსასტიკესი უუფლებობისა და დევნისა, ქალები სულ უფრო ნათლად ერკვევიან თავიანთ უფლებებში, ძალას იძენენ გაერთიანებაში, თავიანთ ღონისძიებებს წარმართავენ მშვიდობისათვის, თავიანთი უფლებებისათვის, ბავშვთა დაცვისა და ბედნიერებისათვის საბრძოლველად.

ქალთა მსოფლიო კონგრესმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საქმიანობის მხარდასაჭერად, მთელი მსოფლიოს ქალთა უფლებების დეკლარაცია, მოწოდება მთელი მსოფლიოს ქალებისადმი. კონგრესმა აგრეთვე მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოხატულია პროტესტი იმ რეპრესიების წინააღმდეგ, რასაც მშვიდობისათვის მებრძოლთა მიმართ იყენებენ.

კონგრესმა განსაკუთრებული ერთსულოვნებით მოითხოვა შეწყდეს ომი კორეაში, ვიეტნამსა და მალაიაში, მშვიდობიანად მოწესრიგდეს გერმანიის, ავსტრიისა და იაპონიის საკითხები, დაიდოს მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის.

— ქალთა მსოფლიო კონგრესი, — თქვა ამხ. ე. ა. ფურცევამ, — ახალი ეტაპი იყო მშვიდობის დაცვისათვის ხალხთა მოძრაობის გზაზე. კონგრესმა ცხადყო ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის კეთილშობილური იდეების დიადი ძალა. კონგრესის მოწოდებანი და გადაწყვეტილებანი მიაღწევენ მშრომელ ქალთა უაღრესად ფართო მასებამდე, განამტკიცებენ მშვიდობის საქმეს, გააძლიერებენ ბრძოლას საერთაშორისო უშიშროებისათვის, ქალთა უფლებების დასაცავად, ბავშვთა ბედნიერებისათვის.

## საბჭოთა მუსიკოსების კონცერტები საფრანგეთში

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). 29 ივნისს „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის მიწვევით მარგარიტა ლონგის და ჟაკ ტიბოს სახელობის ვიოლინისტთა და პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული საბჭოთა მუსიკოსები ნ. შკოლნიკოვა და ე. მალინინი ჩავიდნენ ბორდოს, სადაც გუშინ გამართეს კონცერტი. საბჭოთა მუსიკოსების მაღალმა ოსტატობამ აღტაცება გამოიწვია საზოგადოებაში. თეატრის დარბაზი გაჭედილი იყო.

ნ. შკოლნიკოვასა და ე. მალინინის პატივსაცემად ბორდოს მუნიციპალურმა საბჭომ დარბაზობა გამართა. დარბაზობაზე სიტყვა წარმოთქვა „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, რომელმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ საფრანგეთში საბჭოთა მუსიკოსების ყოფნა „ორი ხალხის მეგობრობისა და ურთიერთგაგების სიმბოლოა“.

დღეს „საფრანგეთ-სსრ კავშირის“ ასოციაციის მიწვევით საბჭოთა მუსიკოსები დ. ოისტრახი და ლ. ობორინი გაემგზავრებიან ლილში, სადაც გამართავენ კონცერტს.

## საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „პრაღის გაზაფხული“

პრაღა, 2 ივლისი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „პრაღის გაზაფხული“ წარმოადგინეს სმეტანას ოპერა „გაყიდული საპატარძლო“. მთავარი როლი შეასრულა ბუდაპეშტის სახელმწიფო ოპერის თეატრის სოლისტმა, კოშუტის სახელობის პრემიის ლაურეატმა მარია მატიაშმა.

პრაღის სმეტანას სახელობის თეატრში პ. ი. ჩაიკოვსკის ბალეტში „გედის ტბა“ დიდი წარმატებით გამოვიდნენ ბუდაპეშტის სახელმწიფო ოპერის თეატრის სოლისტები დორა ჩინადი (ოდეტა) და ვიქტორ ფიულეპი (უფლისწული).

ხელოვნების მუშაკთა სახლში გრძელდებოდა ჩასაბერი ინსტრუმენტების დამკვრელთა კონკურსი. გუშინ მიმდინარეობდა კონკურსის მესამე ტური, რომელშიც დაშვებულ იქნენ პირველი და მეორე პრემიის კანდიდატები. სიმფონიური ორკესტრის თანხლებით, რომელსაც ვ. სმეტაჩეკი დირიჟორობდა, გამოვიდნენ საბჭოთა მუსიკოსები ვიტალი ბუიანოვსკი, რომელმაც დიდი ოსტატობით შეასრულა მოცარტის ნაწარმოები — ტყის საყვირის კონცერტი, ალექსანდრე კორნეევი, რომელმაც შეასრულა იმავე კომპოზიტორის ნაწარმოები — ფლეიტის კონცერტი და მიხეილ იზმაილოვი, რომელმაც დაუკრა დებიუსის კლარნეტის რაპსოდია. ჩეხოსლოვაკიის ოსტატთაგან გამოვიდნენ ვ. განუსი და ს. დუხონი (ჰობოი), ი. რჟეზაჩი (ფაგოტი), რ. ბერანეკი და ვ. ჩორნი (ტყის საყვირი) და ფ. ჩეხი (ფლეიტა).

## საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). გუშინ გაიმართა ეროვნული კრების სხდომა, რომელზეც წარდგენილ იქნა ჟოზეფ ლანიელის მთავრობა. სხდომის დღის წესრიგში იდგა დეპუტატების — კაიეს (ეგრეთწოდებული „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი“), ტურტოს (კომუნისტი) და ვალონის (სოციალური მოქმედების რესპუბლიკური კავშირი — „ფრანგი ხალხის გაერთიანების“ ყოფილი საპარლამენტო ჯგუფი) ინტერპელაციები მთავრობის შემადგენლობისა და პოლიტიკის შესახებ.

პირველი გამოვიდა კაიე, რომელმაც განაცხადა საეჭვოა ლანიელის მთავრობას ეფექტი ექნესო.

კომუნისტმა დეპუტატმა ოგიუსტ ტურტომ თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლანიელის მთავრობაში ძირითადად ის მოღვაწენი დარჩნენ, რომელნიც წინათ ახორციელებდნენ საფრანგეთის ეროვნული ინტერესების საზიანო პოლიტიკას. აღნიშნა რა, რომ ლანიელი ისწრაფვის შექმნას „ძლიერი“ მთავრობა, ორატორმა განაცხადა: თქვენთვის საკმარისი არ არის განსაკუთრებული რწმუნებანი, რომლებსაც მოითხოვთ კონსტიტუციის დარღვევით. თქვენ გსურთ აგრეთვე მიაღწიოთ კონსტიტუციის შეცვლას რეაქციულ საფუძველზე ხალხთან მოუთათბირებლად და მისი ნების წინააღმდეგ. ამისათვის თქვენ მიიწვიეთ თქვენი პირადი მეგობარი ბარაშენი. საფრანგეთის ხალხი და მუშათა კლასი არ დააყოვნებენ ხაზგასმით აღნიშნონ, რომ მთავრობის კრიზისი, რომლის დროსაც რესპუბლიკის პრეზიდენტმა უარი განაცხადა მიეღო საფრანგეთის პირველი პარტიის წარმომადგენლები — კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფი, თქვენი ხელმძღვანელობით დამთავრდა დეგოლელი დეპუტატების შეყვანით არა მარტო მთავრობის უმრავლესობაში, არამედ აგრეთვე მთავრობაში, სადაც მათ უკავიათ დიდმნიშვნელოვანი პოსტები“.

დეგოლელთა წარმომადგენლის ვალონის გამოსვლის შემდეგ ლანიელის მოთხოვნით ხმის უმრავლესობით განუსაზღვრელი ვადით გადაიდო ინტერპელაციების განხილვა.

## ირანის მეჯლისის თავმჯდომარის გადარჩევა

ლონდონი, 1 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება, 1 ივლისს ვადა გაუვიდა მეჯლისის პრეზიდიუმის რწმუნებებს და მოხდა მისი გადარჩევა. მეჯლისის თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი მოაზემი, რომლის კანდიდატურა დაასახელა „ეროვნული მოძრაობის“ ფრაქციამ („ეროვნული ფრონტის“ საპარლამენტო ფრაქცია), რომელიც მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრ მოსადიკს. მოაზემის ხმა მისცა 41 დეპუტატმა. ამრიგად, მეჯლისის წინანდელი თავმჯდომარე ქაშანი, რომელმაც 31 ხმა მოაგროვა, გაიშავეს.

როგორც ცნობილია, 1952 წლის აგვისტოში, როცა ქაშანი მე-17 მოწვევის მეჯლისის თავმჯდომარედ აირჩიეს, მას ხმა მისცა „ეროვნული ფრონტის“ საპარლამენტო ფრაქციის წევრთა უმრავლესობამ. ამ უკანასკნელ ხანს მოსადიკსა და ქაშანის შორის გამოირკვა უთანხმოება საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებში, რის გამო „ეროვნული ფრონტის“ საპარლამენტო ფრაქცია გამოვიდა ქაშანის წინააღმდეგ.

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 1 ივლისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 1 ივლისს გამოაქვეყნა ცნობა, რომ განვლილი დღის მანძილზე სახალხო ჯარები თავდაცვითს ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან კაზორისა და პენამღონის სამხრეთით მდებარე რაიონებში. მოწინააღმდეგის დაახლოებით ორმა პოლკმა ოცზე მეტი თვითმფრინავის დახმარებით 7-ჯერ მოიტანა გააფთრებული იერიში. მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოგერიებულ იქნა.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 6 და დააზიანეს 4 თვითმფრინავი.

## იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის საკითხის გამო

### ნან ხან-ჩენის განცხადება

პეკინი, 1 ივლისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება:

სინხუას სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ხელშემწყობი ჩინეთის კომიტეტის თავმჯდომარემ ნან ხან-ჩენმა გააკეთა განცხადება ჩინეთსა და იაპონიას შორის სავაჭრო შეთანხმების შემდგომი განგრძობის შესახებ.

1952 წლის ივნისში ხელმოწერილი და შემდეგ 1952 წლის დეკემბერში განგრძობილი ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო შეთანხმების მოქმედების ვადა, თქვა ნან ხან-ჩენმა, გავიდა 30 ივნისს. ამას წინათ ჩვენ მივიღეთ იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის ხელშემწყობი ტოკიოს საბჭოსა და იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის ხელშემწყობი საზოგადოების მომართვა, რომელშიც ისინი გვთხოვენ განვაგრძოთ ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო შეთანხმება.

ტომი კორამ, კეი ხოასიმ და კისუკე მიაკოსიმ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას, აგრეთვე გამოგვიგზავნეს დეპეშები და გვთხოვენ მის შემდგომ განგრძობას. გავითვალისწინეთ რა იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის ხელშემწყობი საბჭოსა და იაპონია-ჩინეთის ვაჭრობის ხელშემწყობი საზოგადოების თხოვნა, ჩვენ დავთანხმდით განვაგრძოთ ეს შეთანხმება კიდევ 6 თვით 1953 წლის ბოლომდე.

ამჟამად იბადება კითხვა, მიუხედავად იმისა, რომ უკვე წელიწადი გავიდა ჩინეთ-იაპონიის სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერიდან და ჩინეთმა დიდი ღონისძიებები იხმარა ამ შეთანხმების განხორციელებისათვის, ხოლო იაპონელი ხალხის მასები გადაჭრით მოითხოვდნენ ორ ქვეყანას შორის ვაჭრობის განვითარებას, რატომ ჯერ კიდევ არსებობს დიდი განსხვავება შეთანხმებით გათვალისწინებულსა და ფაქტიურად განხორციელებულს შორის?

ბუნებრივია, რომ არ არსებობს სხვა მიზეზი, გარდა იმისა, რომ ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალი, რომელიც მაქსიმალურ მოგებას ესწრაფვის, მონოპოლისტი გახდა იაპონიის ბაზარზე, იაპონიას აქცევს ამერიკის არსენალად შორეულ აღმოსავლეთში და ამასთან დაკავშირებით კრძალავს და ფუშავს ვაჭრობას ჩინეთსა და იაპონიას შორის. იოსიდას მთავრობა კი, მიუხედავად იაპონიის ეკონომიური დაინტერესებულობისა და იაპონელი ხალხის მტკიცე მოთხოვნისა, ამერიკის კარნახით ყოველივე შესაძლებელს აკეთებს იმისათვის, რომ გააძნელოს ვაჭრობა ჩინეთსა და იაპონიას შორის.

ჩვენ, განაგრძო ნან ხან-ჩენმა, კვლავ ვაცხადებთ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მუდამ ესწრაფოდა და ესწრაფვის იაპონიასთან და სხვა ქვეყნებთან ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას თანასწორობისა და ურთიერთ ხელსაყრელობის საფუძველზე. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა და საგარეო ვაჭრობის დარგში მდგომარეობა სრულიად შეიცვალა. წარსული სავაჭრო ურთიერთობა, რომელიც ურთიერთხელსაყრელი და თანასწორუფლებიანი არ იყო, სამუდამოდ ჩაბარდა ისტორიას. უწინარეს ყოვლისა ჩინეთმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა საბჭოთა კავშირთან და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან მსოფლიო დემოკრატიულ ბაზარზე. გარდა ამისა, მან ხელი მოაწერა სავაჭრო შეთანხმებებსა და კონტრაქტებს ცეილონთან, ინდოეთთან, პაკისტანთან, ფინეთთან და საფრანგეთთან. ამ ხელშეკრულებებს შედარებით კარგი შედეგები მოჰყვა.

ამას წინათ ჩინეთში ჩამოვიდა აგრეთვე ინგლისის სამრეწველო და სავაჭრო დელეგაცია სავაჭრო მოლაპარაკების მიზნით. ბლოკადისა და ემბარგოს ამერიკულმა პოლიტიკამ ზიანი მიაყენა არა ჩინეთს, არამედ თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ჩინეთსა და იაპონიას, რომლებიც გეოგრაფიულად ერთმანეთთან ახლოს მდებარეობენ, ომისშემდგომ წლებში შეეძლოთ ეწარმოებინათ ვაჭრობა თანასწორობისა და ურთიერთხელსაყრელობის საფუძველზე. მაგრამ უკანასკნელი წლების ფაქტები ცხადყოფენ, რომ იაპონია-ჩინეთის ვაჭრობა არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად განვითარდეს მანამდე, სანამ ლიკვიდირებული არ იქნება „ბლოკადა“, „ემბარგო“ და საბოტაჟი ამერიკელი და იაპონელი რეაქციონერების მხრივ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მშვიდობისმოყვარე იაპონელი ხალხი შემდგომ ღონისძიებებს მიიღებს ჩინეთ-იაპონიის ვაჭრობის განვითარების ამ დაბრკოლებათა ლიკვიდაციისათვის. ამრიგად, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ ჩინეთ-იაპონიის ვაჭრობის მომავალი კეთილსასურველი იქნება.

## გადასახადების გადიდება ეგვიპტეში

კაირო, 2 ივლისი. (საკდესი). პრესის ცნობებით, 30 ივნისს ეგვიპტის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება გაადიდოს შაქრის, ადგილობრივი წარმოების ალკოჰოლიანი სასმელებისა და მთელი რიგი საიმპორტო საქონლის ფასები, რადგან ისინი ფუფუნების საგნებად ითვლებიან. მთავრობამ გადაწყვიტა აგრეთვე შეამციროს წანამატები სიძვირის გამო, რომლებიც ეძლევა სამოქალაქო მოსამსახურეებსა და პენსიონერებს, აგრეთვე შეამციროს დოტაციებისა და პრემიალური თანხების ოდენობა, რომლებიც პერიოდულად ეძლევათ სამხედრო და სახელმწიფო მოსამსახურეებს.

გარდა ამისა, ერთი პურის წონა, რომელიც წინათ 75 დირხემს შეადგენდა (1 დირხემი უდრის 3,12 გრამს), შემცირდება 4 დირხემით, მაგრამ მისი ფასი წინანდელი რჩება.

ოყა (1 ოყა უდრის 1,283 კილოგრამს. — რედ.) შაქრის ფასი მატულობს 2 პიასტრით.

დამატებითი საქციზო გამოსაღები ალკოჰოლიან სასმელებზე და დამატებითი ბაჟები საიმპორტო საქონელზე, რომელთა ოდენობაც წესდება ამ საქონლის ღირებულების მიხედვით, 10-20 პროცენტით იზრდება.

წანამატი სიძვირის გამო, რომელიც ეძლევა მშრომელთა სხვადასხვა კატეგორიებს, მცირდება 10-50 პროცენტით.

## საბჭოთა სპორტსმენები სტოკჰოლმში

სტოკჰოლმი, 2 ივლისი. (საკდესი). საბჭოთა მძლეოსნების ჩამოსვლა სტოკჰოლმში შვეციის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ყველა გაზეთი აქვეყნებს ვრცელ მასალებს საბჭოთა მძლეოსნებზე და მათ ვარჯიშობაზე. მომავალი ამხანაგური შეხვედრების მოლოდინში. გაზეთები ათავსებენ აგრეთვე მრავალ ფოტოსურათს.

დიდი გაზეთების სპორტის მიმომხილველნი, რომლებმაც ნახეს საბჭოთა სპორტსმენების ვარჯიშობა სტოკჰოლმის სტადიონზე, აღნიშნავენ მათი სპორტული ოსტატობის მაღალ კლასსა და კარგ ფიზიკურ მომზადებას. გაზეთ „სტოკჰოლმს-ტიდნინგენის“ მიმომხილველი წერს, რომ შვედ სპორტსმენებს შეუძლიათ ისწავლონ საბჭოთა მძლეოსნებისაგან, განსაკუთრებით — ბადროს ტყორცნა.

ყველა გაზეთი აღნიშნავს, რომ შეჯიბრების ყველაზე საინტერესო მომენტი, ეჭვს გარეშე, იქნება საბჭოთა მორბენალის ალექსანდრე ანუფრიევისა და შვედი ბერტილ ალბერტსონის რბენა 5 ათას მეტრ დისტანციაზე.

ცნობილმა შვედმა მორბენალმა გუნდერ ხეგმა, რომელმაც თავის დროზე მსოფლიო რეკორდი დაამყარა 5 ათას მეტრ დისტანციაზე რბენაში, ანუფრიევს გამოუგზავნა წერილი, რომელშიც მიესალმება საბჭოთა სპორტსმენის ჩამოსვლას სტოკჰოლმში, აღნიშნავს მის დიდ მიღწევებს და უსურვებს ახალ სპორტულ წარმატებებს.

გაიმართა საბჭოთა სპორტსმენების პრეს-კონფერენცია, რომელსაც დაესწრო მრავალი შვედი კორესპონდენტი. გაზეთებმა მოათავსეს პრეს-კონფერენციის ანგარიში.

## საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვება გენტში

ბრიუსელი, 1 ივლისი. (საკდესი). ბელგიაში ჩამოსული საბჭოთა კალათბურთელების მესამე გამოსვლა გაიმართა 30 ივნისს საღამოს ქალაქ გენტში, სადაც ისინი შეხვდნენ აღმოსავლეთ ფლანდრიის ნაკრებ გუნდს.

თამაში დამთავრდა საბჭოთა კალათბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 99:38.

## ბირმის წარმომადგენლის განცხადება

პარიზი, 1 ივლისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ბანგკოკიდან იუწყება:

„გენერალ ლი მის ჯარების (გომინდანის ჯარების. — რედ.) ევაკუაციის საკითხის გამო ოთხი ქვეყნის წარმომადგენელთა თათბირზე ბირმის დელეგაციის მეთაურმა პოლკოვნიკმა აუნგ გიიმ 30 ივნისს მიტინგზე განაცხადა: „თუ ლი მის ჯარები ბირმიდან ევაკუირებულ არ იქნენ გაერთიანებული ერების რეზოლუციის საფუძველზე, ბირმის ჯარები განაგრძობენ მათთან ბრძოლას მათ მოსპობამდე“. მან დააზუსტა, რომ ბირმის მთავრობა არასოდეს არ დათანხმდება იმაზე, რომ მისი ტერიტორია კომუნისტური ჩინეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების ბაზას წარმოადგენდეს“.

## წყალდიდობა პაკისტანში

ლონდონი, 1 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი კარაჩიდან იუწყება, მდინარე გუმტის ადიდების შედეგად პაკისტანში მოსპობილია ასობით საცხოვრებელი სახლი და მნიშვნელოვან ფართობებზე დაიღუპა მოსავალი. ყველაზე მეტად დაზარალდა აღმოსავლეთ ბენგალიის აღმოსავლეთი საზღვრის რაიონი.

# თბილისი

ქალაქის ქრონიკა

## ახალგაზრდა სპეციალისტთა ახალი კადრები

30 ივნისს დამთავრდა სასწავლო წელი უმაღლეს სასწავლებლებში. ათასობით სტუდენტმა ჩააბარა საკურსო და გამოსაშვები გამოცდები. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა 990 სტუდენტმა, მათ შორის არიან მათემატიკოსები, ფილოლოგები, ბიოლოგები, ისტორიკოსები, ფიზიკოსები.

მალე შეუდგება მუშაობას ტრანსპორტსა და საწარმოებში ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის 300-მდე ახალგაზრდა ინჟინერი, თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 570 მშენებელი, ქიმიკოსი, გეოლოგი.

ჩვენი ქვეყნის მინდვრებსა და პლანტაციებში უკვე მუშაობს 440 ახალგაზრდა აგრონომი, რომლებმაც დაამთავრეს თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი.

ბევრი ახალგაზრდა პედაგოგი, რომლებმაც დაამთავრეს თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და უცხო ენათა ინსტიტუტი, პირველ სექტემბერს შეუდგება საპატიო საქმეს — საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდას.

* * *

1 ივლისიდან დაიწყო სტუდენტების საზაფხულო არდადეგები. ზაფხულის პერიოდს ჩვენი რესპუბლიკის სტუდენტები შინაარსიანად და ხალისიანად გაატარებენ, იმოგზაურებენ მშობლიურ მხარეში, დაათვალიერებენ ახალ მშენებლობებს, ღირსშესანიშნავ ადგილებს, გაიცნობენ როგორც წარმოების, ისე სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებს, დაისვენებენ და გაჯანსაღდებიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე.

## პურის სავაჭრო ქსელის გაფართოება

დღითიდღე ფართოვდება პურის სავაჭრო ქსელი ქალაქ თბილისში. ქალაქის ტერიტორიაზე, მის გარეუბნებში და ახალდასახლებულ ადგილებში მუშაობს პურის 192 სავაჭრო. აქედან 175 პურ-ფუნთუშის მაღაზია და პავილიონი, 11 ფარდული და სხვ.

უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში ქალაქში, გარეუბნებში, ახალმშენებლობებზე და სხვ. გაიხსნა 16 პურის სავაჭრო მაღაზია და პავილიონი. ახლახან პურისა და პურ-ფუნთუშის მაღაზიები გაიხსნა უნივერსიტეტის ქუჩაზე და ბესარაბიისა და ზაჰესის ქუჩების კუთხეში, აგრეთვე ბაკურიანისა და კომბაინის ქუჩებზე, მედქალაქში, შახტმშენის დასახლებაში და ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეთათვის.

უახლოეს ხანში გაიხსნება პურისა და პურ-ფუნთუშის 3 ახალი მაღაზია, აქედან ერთი 26 კომისრის რაიონში ახალი ინდუსტრიული საწარმოების მუშებისათვის.

სავაჭრო ქსელის გაფართოებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის ასორტიმენტი. „თბილპურვაჭრობა“ თავის მაღაზიებში დიდი რაოდენობით ჰყიდის ცალობრივად და წონით უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ფქვილის პურს, ქართულ პურს, მრავალი სახის ფუნთუშს, ქადაპურებს, რამდენიმე სახის ორცხობილას და სხვ.

## მარჯანიშვილის თეატრის [illegible]

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი 7 ივლისს გაემგზავრება საგასტროლოდ ქუთაისსა და სუხუმში.

8 ივლისს თეატრი ქუთაისის მაყურებლებს უჩვენებს უ. ჩხეიძის პიესა „გიორგი სააკაძეს“. თეატრი აქ საგასტროლოდ დაჰყოფს 3 აგვისტომდე. ამ ხნის განმავლობაში მომსახურებას გაუწევს სამტრედიის, ხონის, მაიაკოვსკის რაიონების მშრომელებს, გამართავს მათთვის კონცერტებს, უჩვენებს სპექტაკლებს.

თეატრი გასტროლებზე მიემგზავრება მთელი შემადგენლობით, მის რეპერტუარშია პიესები „ანტონიოს და კლეოპატრა“, „დაბრუნება“, „რომეო და ჯულიეტა“, „ვარდი ასფურცლოვანი“, „მარინე“, „კოლმეურნის ქორწინება“, „მოძღვარი“, „ცეკვის მასწავლებელი“, „სასტუმროს დიასახლისი“, „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“ და სხვ.

## ნორჩ ტურისტთა ექსკურსიები

დაიწყო ბავშვთა ტურისტული სეზონი. თბილისის ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტულმა ბაზამ უკვე მიიღო სტუმრები მოსკოვიდან, სტალინგრადიდან, ვორონეჟიდან, კუიბიშევიდან, სტალინაბადიდან, სუხუმიდან, ფოთიდან, ქიათურიდან, ზუგდიდიდან და სხვა ქალაქებიდან, სულ 200 ბავშვი.

ნორჩმა მოგზაურებმა დიდი ინტერესით დაათვალიერეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქი თბილისი. იყვნენ ბელადის ყოფილ არალეგალურ სტამბაში, თბილისის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ობსერვატორიაში, ნახეს დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

2 ივლისს ჩამოვიდა რამდენიმე ჯგუფი ნორჩი ტურისტებისა გროზნოდან, სტავროპოლიდან, წალენჯიხიდან.

მიმდინარე ზაფხულისათვის შემუშავებულია ახალი საინტერესო ტურისტული მარშრუტები. ბავშვებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს, ახალმშენებლობებს, შეისწავლონ საქართველოს ფლორა და ფაუნა. წელს ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგური მომსახურებას გაუწევს 1.200 ბავშვს.

## მაცივარ კომბინატში

თბილისის მოსახლეობამ წელს მაისის ბოლომდე 333 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახის ნაყინი მიიღო. მაცივარკომბინატმა ივნისის 18 დღეში 110 ტონაზე მეტი ნაყინი გამოუშვა. მესამე კვარტალში მაცივარი დაამზადებს 400-ზე მეტ ტონა ნაყინს.

ფართოვდება ნაყინის ასორტიმენტი. ნაყინის საამქრომ ახლახან აითვისა და ამ დღეებში პირველად გამოუშვა საზამთროს მურაბიანი მალალხარისხოვანი პლომბირი, რომელზეც მოსახლეობაში დიდი მოთხოვნილებაა.

ფართო მოხმარებისათვის — კვების საწარმოების, სასადილოებისათვის, მინერალური და გამაგრილებელი წყლების სავაჭროებისათვის და მოსახლეობის საჭიროებისათვის აქ ყოველდღიურად მზადდება 100 ტონამდე ყინული.

მაცივარში ყველა ძირითადი პროცესი მექანიზებულია. ახლახან დაიდგა 4 ახალი მძლავრი კომპრესორი. მიმდინარეობს მაცივრის შემდგომი გაფართოება.

რედაქტორი დ. მჟედლიშვილი.


**სსრ კავშირის მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქუთაისის ავტომექანიკური ტექნიკუმი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას** დილისა და საღამოს განყოფილების (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ) პირველ კურსზე 1953-54 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმს აქვს ორი სექტორი — ქართული და რუსული.

ტექნიკუმი ამზადებს: 1. ლითონების ჭრით დამუშავების ტექნიკოს-ტექნოლოგებს, 2. სამსხმელო წარმოების ტექნიკოს-ტექნოლოგებს, 3. ჭედვა-ტვიფრვის წარმოების ტექნიკოს-ტექნოლოგებს.

სწავლის ხანგრძლივობა: დღის განყოფილებაზე 4 წელი, საღამოს განყოფილებაზე 5 წელი. ტექნიკუმში მიიღებიან 14-30 წლის ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლა. უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ისინი, ვინც დაამთავრა არასრული საშუალო სკოლა, ყველა საგანში აქვს ნიშანი „5“ და მიღებული აქვს ქების სიგელი.

ყველა დანარჩენი აბარებს მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: სსრკ კონსტიტუციაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი — ქართული სექტორისათვის), რუსულ ენაში (წერა კარნახით), რუსულ ლიტერატურულ კითხვაში, მათემატიკაში (არითმეტიკა, გეომეტრია, ალგებრა — წერა და ზეპირი) არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (ასლი, შემოწმებული ნოტარიუსის მიერ) ან პასპორტი (წარმოადგენენ პირადად), ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4), ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ, საბუთი სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ, ცნობა სამუშაო ადგილიდან თანამდებობის ჩვენებით (საღამოს განყოფილებაზე შემსვლელთათვის).

იმ მსმენელებს, რომლებიც ჩაირიცხებიან უგამოცდოდ ან გამოცდებზე მიიღებენ შეფასებას „ოთხს“ ან „ხუთს“, დაენიშნებათ სტიპენდია 285 მანეთის რაოდენობით.

ტექნიკუმის საღამოს განყოფილებაზე მიიღებიან წარმოების მუშაკები წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

ყოველგვარი ცნობების მისაღებად მიმართეთ მიმღებ კომისიას: სტალინის ქუჩა, II ჩიხი № 3, ტელეფონი 5-31. მიმღები კომისია მუშაობს ყოველდღე 8 საათიდან 16 საათამდე.



**თბილისის გარეუბნის რაიონის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დიღმის ტექნიკუმი** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1953-54 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოს-მექანიკოსებს. სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 14-დან 30 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ 8 კლასი. უგამოცდოდ მიიღებიან ის პირნი, რომლებმაც 1952-53 სასწავლო წელს ნიშან „5“-ზე დაამთავრეს რვა კლასი. ტექნიკუმში შემსვლელმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (ნოტარიუსის მიერ შემოწმებული ასლი), ავტობიოგრაფია, 3 ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ, ჯანმრთელობის მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

მისაღები გამოცდები იწარმოებს ა. წ. 1-დან 20 აგვისტომდე შემდეგ საგნებში: სსრ კავშირის კონსტიტუციაში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა კარნახით, ზეპირი), მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

ცნობა სამხედრო ვალდებულების შესახებ და პასპორტი წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად გამოცხადების დროს.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. ყველა ჩარიცხული მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება ბინით და საწოლით.

სტიპენდია მიეცემა პირველ კურსზე ჩარიცხულ ყველა მოსწავლეს. სწავლის წარჩინებულთა და უგამოცდოდ მისაღებ პირთა ჩარიცხვა იწარმოებს ა. წ. 1 ივლისიდან 31 ივლისამდე. განცხადებები მიიღება 1 აგვისტომდე პირადი წარმოდგენით და ფოსტის საშუალებით ტექნიკუმის დირექტორის სახელზე.

მისამართი: თბილისი, გარეუბნის რაიონი, დიღმის მექანიზაციის ტექნიკუმი, საქართველოს სამხედრო გზის მე-12 კილომეტრზე.



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თბილისის საბჭოთა კავშირის გმირ ჟ. უ. ბენდელიანის სახელობის სამხედრო-საჰაერო ძალთა სპეციალურ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 1953 წლის 10 აგვისტომდე.**

სკოლა ამზადებს კადრებს ოფიცერთა საფრენოსნო სასწავლებლებისათვის. მოსწავლეებს, რომლებიც სკოლას მედლით დაამთავრებენ, ენიჭებათ სამხედრო-საჰაერო ძალთა აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტზე უგამოცდოდ შესვლის უფლება.

სკოლაში მიიღებიან 1936, 1937 და 1938 წლებში დაბადებული ვაჟები, რომლებმაც 1953 წელს დაამთავრეს 8 კლასი.

სწავლება, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და კვება უფასოა. რაიონებიდან მოვლინებულთა ნაწილი უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებლით. სკოლაში შესვლის მსურველები გაივლიან სპეციალურ საექიმო და სამანდატო კომისიებს. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება მოხდება 21 აგვისტოდან 25 აგვისტომდე რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), არითმეტიკაში, ალგებრასა და გეომეტრიაში (ზეპირი).

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განცხადება მოსწავლისა და მშობლებისა, ავტობიოგრაფია (საკუთარი ხელით ნაწერი), მოწმობა 8 კლასის დამთავრების შესახებ, დაბადების მოწმობა, დახასიათება სკოლის დირექტორისაგან, ხოლო ალკკ წევრებისათვის კომკავშირის ორგანიზაციისგანაც, ორი ფოტოსურათი უქუდოდ 3×4.

ყველა საბუთი განმცხადებელმა პირადად უნდა შემოიტანოს სკოლის კანცელარიაში (პლეხანოვის პროსპ. № 155) და თან იქონიოს პასპორტი (თუ შეუსრულდა 16 წელი).

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით № 3-06-63 ან უშუალოდ სკოლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირისა 10 საათიდან 4 საათამდე.



**საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ბაკურციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში 1953-54 სასწავლო წლისათვის პირველ კურსზე მიღების პირობები.**

ტექნიკუმი ამზადებს ბუღალტრებს, მეფუტკრეებს, მევენახე-მეღვინე და მემინდვრე უმცროს აგრონომებს. ტექნიკუმთან არსებობს მემინდვრეობის დაუსწრებელი განყოფილება, რომელიც ამზადებს უმცროს მემინდვრე აგრონომებს.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი (დასწრებულზე) 14-30 წლამდე ასაკისა, ხოლო (დაუსწრებელზე) განურჩევლად ასაკისა, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის კურსი 1946 წელს და ადრე 7 კლასი, ხოლო 1947 წელს და შემდეგ 8 კლასი.

ტექნიკუმში უგამოცდოდ ჩაირიცხებიან ის ახალგაზრდები, რომლებსაც არასრული საშუალო სკოლის კურსი დაამთავრეს ფრიადზე 1952 და 1953 წლებში, აგრეთვე ისინი, რომლებმაც 11 კლასი დაამთავრეს 1952-53 წელს. დანარჩენები კი აბარებენ მისაღებ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამით შემდეგ საგნებში:

სსრ კავშირის კონსტიტუციაში (ზეპირი), ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), რუსულ ენაში (წერა და ზეპირი), მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

განცხადება ტექნიკუმში მიღების შესახებ შემოტანილ უნდა იქნას ან გამოიგზავნოს ფოსტით ტექნიკუმის დირექტორის სახელზე. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი, ცნობა სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების შესახებ და ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

განცხადებები მიიღება დასწრებულზე 31 ივლისამდე, დაუსწრებელზე 15 ნოემბრამდე. მისაღები გამოცდები იწარმოებს დასწრებულზე 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს. დაუსწრებელზე გამოცდები იწარმოებს 16 ნოემბრიდან 15 დეკემბრამდე.

ტექნიკუმში ჩარიცხულ ყველა სტუდენტს დაენიშნება სტიპენდია და უზრუნველყოფილი იქნება ბინით, გათბობა-განათებით და საწოლებით. ტექნიკუმს აქვს სასადილო.

მისამართი: გურჯაანის რაიონი, სოფელი ბაკურციხე. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.



**ოპერისა და ბალეტის თეატრი**

| | |
|---|---|
| 3 ივლისს | ჯ. ვერდი — ტრუბადური (ნ. ვალაცის მონაწილეობით) |
| 4 ივლისს | ჯ. როსინი — სევილიელი დალაქი |

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.



მეუღლე ელენე, შვილები კატუშა, ციცო, ელენე, თამარ, სიძეები გ. სამადაშვილი, ა. სარალიძე, ძმისწული მ. ჩინჩალაძე ოჯახებით იუწყებიან **მინა ყანჩაველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-VII ზესტაფონში, თაბუკაშვილის ქ. № 4.

მეუღლე პელაგია, შვილები სოსო, მარგალიტა, ძმები მიხეილ, ილია, სიძე ს. ქოჩიჩაშვილი, რძალი მაყვალა შვილებით იუწყებიან **ზაქარია იოსების-ძე ნოზაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-VII, 8 ს. გამოსვენება 5-VII, 5 ს. პრავდის ქ. № 5.

ძმა შალვა, რძალი ვერა, ძმისწულები ნელი, ჯემალ, ირინე გიგინეიშვილები იუწყებიან **ალექსანდრე ათანასეს-ძე გიგინეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-VII სამტრედიაში. გამოსვენება ცხაკაიას I შესახვევი № 10.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან **ლეონიდა თამაზის ასულ იაკობაშვილის** გარდაცვალებას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის კოლექტივი იუწყება **ლეონიდა თამაზის ასულ იაკობაშვილის** გარდაცვალებას.

ოლია, შურა, გრიგოლ, იაშა შენგელიები, ტერეზი, თამარ, ალექსანდრე, შალვა, ირაკლი მეფარიშვილები იუწყებიან რძლისა და ბიცოლას **კატო მათეს ასულ თელია-შენგელიას** გარდაცვალებას.

მეუღლე გურანდა კარბელაშვილი-რიჟამაძე, ცოლისძმა მირიან კარბელაშვილი მეუღლით სოფიოთი, შვილით ჯულიეტათი, სიძე ა. ქელივიძე იუწყებიან **ალექსანდრე მარკოზის-ძე რიჟამაძის** გარდაცვალებას პანაშვიდი 3, 4-VII, 8 ს. დაკრძალვა 5-VII, 5 ს. მელიქიშვილი, 14.



რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-57-61, მრეწველობისა და ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების და საქმეთა მმართველობის — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, უცხოეთის ინფორმაციისა და კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 3-73-24, განცხადებების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 04333 ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“.